დანართი №3

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლანა გაჩეჩილაძე

წევრები:

ნანა მონიავა
ხათუნა მაისია
ნინო ჩომახაშვილი
ნანა ვერულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 245419355

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 23-25 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის N527752 ბრძანების შესაბამისად (15.05.2025) საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისობა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის "საექთნო განათლება"; "ფარმაცია (სააფთიაქო)“ და ,,კბილის სატექნიკო საქმე“.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ GOOGLE MEET-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი.

2025 წლის 23-24 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა შეამოწმეს კოლეჯის ინსტიტუციური სტანდარტები, ასევე, 25 ივნისს დარგის ექსპერტების მიერ შეფასდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ,,კბილის სატექნიკო საქმე“. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის შეფასების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციისა თუ ინტერვიუების მონაწილეების მობილიზებით. 2025 წლის 25 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

*დასკვნის პროექტში დაფიქსირდა ერთი ხარვეზი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნასთან დაკავშირებით, თუმცა, **აკადემიამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობისას წარმოადგინა არგუმენტიებული პოზიცია და დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გათვალიწინებულია აქტივობები სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად 2025 წლის 25 სექტემბრამდე. წარმოდგენილი წერილის თანახმად, 2025 წლის 29 ივლისს უკვე განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წარმომადგენელთ ვიზიტი აკადემიაში. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით 5.1.2.1 შეფასდა მეტწილი შეფასებით.***

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საექთნო განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4
ფარმაცია (სააფთიაქო)	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4
კბილის სატექნიკო საქმე	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება	120	112	12	7
ფარმაცია (სააფთიაქო)	80	52	16	10
კბილის სატექნიკო საქმე	30	30	2	0

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

აკადემია შეუერთდა ცირკულარული ეკონომიკის პლატფორმას და დაიწყო ნარჩენების შემცირებაზე მუშაობა, რის შემდეგაც მოხდა ვებ გვერდის/ სხვა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების/ კარიერული გზამკვლევის QR კოდების შექმნა და აკადემიის სივრცეებში განთავსება, რაც თანამედროვე მიდგომაა და ამცირებს ნარჩენებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საქართველო განათლება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ფარმაცია (სააფთიაქო)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კბილის სატექნიკო საქმე	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 აკადემიამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობისას წარმოადგინა არგუმენტიებული პოზიცია და დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გათვალიწინებულია აქტივობები სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად 2025 წლის 25 სექტემბრამდე. რეკომენდირებულია აკადემიამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2.1.3 ექსპერტთა მოსაზრებით სამოქმედო გეგმაში აქტივობების ჩამონათვალი ზედმეტად კონკრეტულია, რაც რიგ შემთხვევაში განპირობებულია სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილი ამოცანების დეტალური და ვიწრო ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია სტრატეგიულ გეგმაში მიზნის შესაბამისი ამოცანები ფორმულირდეს მსხვილი/ზოგადი სახით, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯს სამოქმედო გეგმაში აქტივობები ფორმულირდეს უკეთესად. სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების უკეთესი პრაქტიკის დანერგვისთვის კოლეჯმა გააძლიეროს გუნდის შესაძლებლობები.

5.2.2.1 აკადემიაში შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება მატერიალურად, სხვადასხვა სახის დოკუმენტები რეგისტრირდება განსხვავებული ინდექსაციით და მატერიალურ ჟურნალში ხდება აღრიცხვა, სადაც ფიქსირდება ტექნიკური ხასიათის უზუსტობები ნუმერაციის მინიჭებისას, ამდენად, სასურველია, აკადემიამ ეფექტურად გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow) და ამ მიმართულებით გააძლიეროს თანამშრომელთა შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება, როგორც შესაბამისი წესით, ასევე, აკადემიის დირექტორის 2025 4 თებერვლისN 1657 „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით “, კერძოდ თავი მეექვსე „საქმისწარმოების წესით", მუხლი 30 ადგენს ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს. სასურველია საკითხის რეგულირებისთვის აკადემიამ გამოიყენოს ერთი შიდა მარეგულირებელი აქტი და არ დუბლირდებოდეს სხვადასხვა ბრძანებაში.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

წარმოგიდგენთ დეტალურ ინფორმაციას დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებული პასუხების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ მათი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ფუნქციონირებს ქ. ბათუმში. შესაბამისად, იგი ახორციელებს რეგიონის შიდა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნადი პროფესიების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისიაა: „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჯანდაცვის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.

ბათუმის სამედიცინო აკადემია უზრუნველყოფს ინოვაციური სწავლების დანერგვას და პროფესიული განათლების პოლიტიკაში ეფექტურ ჩართულობას."

დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მისია განსაზღვრავს კოლეჯის მიმართულებას, როგორც მონოპროფილურს, ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით, რაც შეესაბამება მის რეალურ საქმიანობას. აკადემია 1992 წლიდან ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ორიენტირებულია ჯანდაცვის მიმართულებით კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პროფესიული კადრების მომზადებაზე.

აკადემიის მისია განსაზღვრავს მის მიზნებს და პასუხობს პროფესიული განათლების მიზნებს. კურსდამთავრებულთა რაოდენობითა და დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით აკადემია ნამდვილად ზრუნავს ჯანდაცვის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია წარმოადგენს პროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისია ითვალისწინებს ჯანდაცვის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. კოლეჯი ორიენტირებულია ჯანდაცვის მიმართულებით კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პროფესიული კადრების მომზადებაზე. ექსპერტთა მოსაზრებით კოლეჯს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მისია განსაზღვრავს კოლეჯის მიმართულებას, როგორც მონოპროფილურს, რაც შეესაბამება მის რეალურ საქმიანობას, ასევე განსაზღვრავს მის მიზნებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხობს პროფესიული განათლების მიზნებს. კოლეჯი ფუნქციონირებს აჭარის რეგიონში. პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯი ადგილობრივ დონეზე აძლევს სწავლის, პროფესიული განვითარების საშუალებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და ხელს უწყობს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე მათ დასაქმებას. კოლეჯი ახორციელებს ასევე 2022 წლიდან ახორციელდებდა პროფილურ, რეგიონისთვის მნიშვნელოვან მოკლევადიან, ,,გერიატრიული ასისტენტის'' პროფესიული მომზადების პროგრამას. ავტორიზაციის ექსპერტების ინტერვიუს დროს დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ მათი განსაკუთრებული როლი და ადგილი პროფესიული განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.1.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

კოლეჯის მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა და ღირებულებები. აკადემია ისწრაფვის გახდეს რეგიონში წამყვანი დაწესებულება, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჯანდაცვის სფეროში და მისთვის მოამზადებს პროფესიული ღირებულებებითა და ცოდნით აღჭურვილ ლიდერ სპეციალისტებს. ხედვის რეალიზებისთვის აკადემიის მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა ოპტიმალური პერიოდი.

აკადემიის ხედვაა: "ბათუმის სამედიცინო აკადემია რეგიონში წამყვანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ჯანდაცვის სფეროს განვითარებას. აკადემია ამზადებს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული პასუხისმგებლობით, ეთიკური პრინციპების დაცვითა და ხარისხზე ორიენტირებული მიდგომით.

2031 წლისათის აკადემია მოამზადებს მომავალი თაობის ჯანდაცვის ლიდერებს, რომლებიც, ცოდნის, ინოვაციების და ჰუმანიზმის მეშვეობით გააუმჯობესებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას."

ბათუმის სამედიცინო აკადემიის ღირებულებები მკაფიოდ არის განსაზღვრული. თითოეული ღირებულება მნიშვნელოვანია აკადემიის მისიისა და ხედვის განხორციელებისთვის და ქმნის მყარ საფუძველს აკადემიის საქმიანობისთვის და განსაზღვრავს ორგანიზაციულ კულტურას. აკადემიის ღირებულებებია: პროფესიონალიზმი, ინოვაცია, ეთიკა, გუნდურობა, პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ცხადია, რომ ინდიკატორის 1.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ვებგვერდზე, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამასთან, კოლეჯის მიერ ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეხვედრის ოქმები, ელ. ფოსტაზე მიმოწერა) შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ კოლეჯის მიერ გაზიარებულია მისია, ხედვა და ღირებულებები დაინტერესებული მხარეებისთვის, შედგა შეხვედრები მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან და მიღებულია უკუკავშირი. გარდა ამისა, ექსპერტების მიერ განხორციელებული ინტერვიუებით პროფესიულ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან დასტურდება, რომ მათ დაწესებულებამ გააცნო თავისი მისია, ხედვა და ღირებულებები, მოისმინა მათი აზრი და მსჯელობები. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განახლებულად არის ჩამოყალიბებული და დამტკიცებული 2024 წელს.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- https://www.bmeda.edu.ge/ka/mission
- საგანმანათლებლო დაწესებულების დებულება
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი შეხვედრის ოქმები
- აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების ამსახველი დოკუმენტები
- ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ აკადემიის დირექტორის ბრძანება N12538 12.09.2024
- პირველ სტანდარტის სამუშაო ჯგუფის ოქმები
- დაინტერესებულ მხარეებთან, დამსაქმებელთან და პროფესიულ მასწავლებელთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

აკადემიას შემუშვებული აქვს ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია'', რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებს და სამუშაო პროცესს. მეთოდოლოგია ასევე ადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც შემუშვებულია შესაბამისი გეგმები.

მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ანგარიშვალდებული არიან აკადემიის დირექტორის წინაშე.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.
თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები შუალედურ/წლიურ ანგარიშებს სამოქმედო გეგმის ანგარიშს წარადგენენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, სადაც თითოეული ინდიკატორს აფასებენ: არ/ვერ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, სრულად შესრულდა შესაბამისი დასაბუთებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინდიკატორი სრულად შესრულდა. ანგარიშს პასუხისმგებელმა პირმა უნდა დაურთოს შესაბამისი მტკიცებულება ნაწილობრივ და სრულად შესრულების შემთხვევაში.
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს აკადემიის დირექტორს.
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი - 6 თვეში ერთხელ, ხოლო წლიურად ხდება ანგარიშგება დირექტორთან.
მონიტორინგის პროცესი ითვალისწინებს: ა) მონაცემთა შეგროვებას ბ) ანალიზს გ) რეაგირების მოხდენას. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ანგარიშების წარდგენას სამოქმედო გეგმის ფარგლებში.
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, როგორც მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი, თავის მხრივ ამზადებს ანგარიშს, სადაც ხარისხის უზრუველყოფის მენეჯერი სამოქმედო და სტრატეგულ გეგმებთან მიმართებაში აანალიზებს ასევე დაინტერესებული პირებისგან მიღებულ უკუკავშირს და საბოლოო ანგარიშს წარუდგენს აკადემიის დირექტორს. საბოლოო ანგარიში განიხილება ანგარიშგებიდან ერთი თვის ვადაში.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას აკადემია ითვალისწინებს დარგში არსებულ გარემოებებს, გეგმავს საკუთარ შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას, აკადემიაში სწავლების ხარისხის მიღწევისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას და აკადემიის ძირითადი მიზნის მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველსაყოფად პროცესების დაგეგმვას და მუდმივ განვითარებას.

აკადემიის განმარტებით შვიდი წელი, თანამედროვე დინამიურ სამყაროში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია. მეტიც, ცვლილებები იმდენად ინტენსიურია, რომ წლიური დაგეგმვაც კი ზოგჯერ პრობლემაა. 2019 წლის შემდეგ ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვნად შეიცვალა აკადემიის პროფესიული განათლების ეკოსისტემა, სამართლებრივი ბაზა, მიდგომები და პრიორიტეტები. კოლეჯმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ახალი სიტუაციური ანალიზი მოამზადა, რამაც აჩვენა, რომ 2019 წლის შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ცვლილებები. შესაბამისად, აკადემიამ განაახლა საკუთარი სტრატეგიული მიზნები. დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი. პროექტი გაზიარებული იქნა სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიერ, კერძოდ, დაწესებულების თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულისა და პოტენციური დამსაქმებლების მიერ და საბოლოო ვერსია დამტკიცდა აკადემიის დირექტორის მიერ. 2025-2031 წლების სტრატეგიული და 2025 წლის სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია 2025 წლის 4 თებერვლის №1659 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2025-2031 წელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს აქვს 6 სტრატეგიული მიზანი:
1.შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესება და ინსტიტუციური ზრდა
2. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან
3. სტუდენტების/მსმენელების პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა
4. ახალი პროფესიულ/საგანამანთლებლო პროგრამების დანერგვა და ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია
5. თანამშრომლობის გაძლიერება – პარტნიორობა ადგილობრივ ასოციციებთან, ევროპულ დაწესებულებებთან და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა
6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკებში ჩართულობის ზრდა

კოლეჯის განმარტებით, ახალი მიზნები სრულიად ორიენტირებულია კერძო სექტორის საჭიროებებზე და თვითდასაქმებაზე. ეს იქნება განათლებაში ტექნოლოგიების შემოტანის მაღალი ხარისხი, სწავლების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენება სწავლებისა და ადმინისტრირების მიზნებისათვის, აუცილებლად, ადმინისტრაციული და მასწავლებელთა კორპუსის შევსება და უწყვეტი განვითარების ეფექტური სისტემების დანერგვა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დაწესებულებას განთავსებული აქვს საჯაროდ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის.
კოლეჯი წლის განმავლობაში 2-ჯერ ახდენს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, წლის ბოლოს კი მტკიცდება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რითაც დაადასტურეს პროცესების თანხვედრა მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებთან. **შესაბამისად, ინდიკატორის 1.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ბათუმის სამედიცინო აკადემიას შემუშავებული აქვს დაინტერესებული პირების რუკა, იდენტიფიცირებულია მათი მოლოდინები, რაც ასახულია აკადემიის სტრატეგიულ დოკუმენტებში
დაწესებულებას გააზრებული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, შესაბამისად სტრატეგიული გეგმის შემუშავება მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროცესების დაცვით განხორციელდება. დირექტორის ბრძანებით ამ ეტაპისთვის განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დაწესებულების თანამშრომლები,სტუდენტი და დამსაქმებელი. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მზადდება სტრატეგიული გეგმა. პროცესის გადამოწმების შესაძლებლობა მოგვცა 2024 წელს განხორციელებული ცვლილებების პაკეტის შესწავლამ, რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან. დასამტკიცებელი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი დაწესებულებამ შეხვედრაზე თანამშრომლებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ასევე საჯარო გაცნობის მიზნით, განათავსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ვებგვერდზე. ყოველივე აღნიშნული დასტურდება როგორც დოკუმენტური მასალით, ასევე ინტერვიუების შედეგებით და ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის 1.2.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენისას, დაწესებულებამ განსაზღვრა მისიასთან თავსებადი მიზნები:
1.შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესება და ინსტიტუციური ზრდა
2. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან
3. სტუდენტების/მსმენელების პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა
4. ახალი პროფესიულ/საგანამანთლებლო პროგრამების დანერგვა და ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია
5. თანამშრომლობის გაძლიერება – პარტნიორობა ადგილობრივ ასოციციებთან, ევროპულ დაწესებულებებთან და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა
6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკებში ჩართულობის ზრდა

კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებს შორის წარმოდგენილია ახალი პროფესიულ/საგანამანთლებლო პროგრამების დანერგვა, თანამშრომლობის გაძლიერება – პარტნიორობა ადგილობრივ ასოციციებთან, ევროპულ დაწესებულებებთან და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკებში ჩართულობის ზრდა, რაც თანხვედრაშია მისიის ჩანაწერთან:,,საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჯანდაცვის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.'' ასევე სტრატეგიული მიზანია ,, არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან '' , რაც თანხვედრაშია დაწესებულების მისიის ჩანაწერთან: ,,ბათუმის სამედიცინო აკადემია უზრუნველყოფს ინოვაციური სწავლების დანერგვას და პროფესიული განათლების პოლიტიკაში ეფექტურ ჩართულობას."

2025 წელს ავტორიზაციის განაცხადით დაწესებულებამ წარმოადგინა ჯანდაცვის მიმართულების 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა: „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და კბილის სატექნიკო საქმე. აღნიშნულით იკვეთება კოლეჯის მონოპროფილურობა, განვითარებისა და ზრდის მზაობა და სურვილი.

სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. გეგმა მოიცავს -ამოცანებს, ვადებს, საჭირო რესურსებისა და ფინანსურ რესურსებს, შესრულების ინდიკატორებსა და პასუხისმგებელ პირს /პირებს.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით სამოქმედო გეგმაში აქტივობების ჩამონათვალი ზედმეტად კონკრეტულია, რაც რიგ შემთხვევაში განპირობებულია სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილი ამოცანების დეტალური და ვიწრო ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია სტრატეგიულ გეგმაში მიზნის შესაბამისი ამოცანები ფორმულირდეს მსხვილი/ზოგადი სახით, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯს სამოქმედო გეგმაში აქტივობები ფორმულირდეს</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკეთესად. სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების უკეთესი პრაქტიკის დანერგვისთვის კოლეჯმა გააძლიეროს გუნდის შესაძლებლობები.

ინდიკატორის 1.2.1.3 მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, რაც სრულ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025-2031 წლების სტრატეგიული და 2025 წლის სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია 2025 წლის 4 თებერვლის №1659 ბრძანებით
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების და მონიტორინგის მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები, დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.
- დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან) ინტერვიუს შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

დაწესებულებაში მოქმედი ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოლოგიის" (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 04 თებერვლის № 1658 ბრძანებით) მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შემუშავებაზე, საჭიროების შემთხვევაში. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფში ჩართულები არიან აკადემიის თანამშრომლები, სტუდენტები/მსმენელები (არსებობის შემთხვევაში), პროფესიული მასწავლებლები/განმახორციელებლები, აკადემიის პარტნიორები/დამსაქმებლები, სხვა დაინტერესებული პირები.

სამოქმედო გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების/პირების ჩართულობას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას შესრულების ინდიკატორების არსებობა შესაძლებლობას აძლევს აკადემიას თვალყური ადევნოს იმპლემენტაციას და დროულად აღმოაჩინოს დაწესებულებაში შექმნილი სირთულეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი კი, გულისხმობს გეგმის შესრულების თვალყურის დევნებას და დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასებას. მონიტორინგი ეხმარება დაწესებულებას თანამშრომლებისთვის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებაში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ანგარიშვალდებული არიან აკადემიის დირექტორის წინაშე.
მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ანგარიშვალდებული არიან აკადემიის დირექტორის წინაშე.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.
თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირები შუალედურ/წლიურ ანგარიშებს სამოქმედო გეგმის ანგარიშს წარადგენენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, სადაც თითოეული ინდიკატორს აფასებენ: არ/ვერ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, სრულად შესრულდა შესაბამისი დასაბუთებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინდიკატორი სრულად შესრულდა. ანგარიშს პასუხისმგებელმა პირმა უნდა დაურთოს შესაბამისი მტკიცებულება ნაწილობრივ და სრულად შესრულების შემთხვევაში.
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს აკადემიის დირექტორს.
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი - 6 თვეში ერთხელ, ხოლო წლიურად ხდება ანგარიშგება დირექტორთან.
მონიტორინგის პროცესი ითვალისწინებს: ა) მონაცემთა შეგროვებას ბ) ანალიზს გ) რეაგირების მოხდენას. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ანგარიშების წარდგენას სამოქმედო გეგმის ფარგლებში.
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, როგორც მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი, თავის მხრივ ამზადებს ანგარიშს, სადაც ხარისხის უზრუველყოფის მენეჯერი სამოქმედო და სტრატეგულ გეგმებთან მიმართებაში აანალიზებს ასევე დაინტერესებული პირებისგან მიღებულ უკუკავშირს და საბოლოო ანგარიშს წარუდგენს აკადემიის დირექტორს. საბოლოო ანგარიში განიხილება ანგარიშგებიდან ერთი თვის ვადაში.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას აკადემია ითვალისწინებს დარგში არსებულ გარემოებებს, გეგმავს საკუთარ შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას, აკადემიაში სწავლების ხარისხის მიღწევისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას და აკადემიის ძირითადი მიზნის მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველსაყოფად პროცესების დაგეგმვას და მუდმივ განვითარებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებათა პაკეტები და შესაბამისად, **ინდიკატორის 1.2.2.1 მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია და კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**;

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა 2018 წლიდან 2024 წლის ჩათვლით განხორციელებული სამოქმედო გეგმების ანგარიშები. მონიტორინგის მიზანია, კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოახდინოს თანამშრომელთა მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ანგარიშგება. სამუშაო პროცესში იდენტიფიცირებული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე კოლეჯის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მონიტორინგის შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებას ახდენს კოლეჯის დირექტორი. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ განმარტებული იქნა, რომ მათ მიერ შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგი წლის სამოქმედო გეგმების ამოცანების ფორმირებისას. შესაბამისად, **ინდიკატორის 1.2.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები დაწესებულებას განთავსებული აქვს ვებგვერდზე https://www.bmeda.edu.ge/ka/actionPlan) და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 1.2.2.3 მოთხოვნები სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების წლიური სამოქმედო გეგმების ანგარიშები;
- დაწესებულების წლიური სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
- დაწესებულებაში მოქმედი ,, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოლოგია " (დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 04 თებერვლის № 1658 ბრძანებით)
- დაწესებულების ვებ გვერდით www.bmeda.edu.ge

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები
3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა
3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

პროფესიული სტუდენტის უფლებელი და კანონმდებლობით განსაზღვრული გარანტიები შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას გაწერილი აქვს აკადემიის დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის №2587 ბრძანებით დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში"(ბოლო ცვლილება 2025 წლის 25 ივნისის N9777 ბრძანებით) და 2025 წლის 4 თებერვლის №1657 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში" (ბოლო ცვლილება 2025 წლის 25 ივნისის N9777 ბრძანებით) . აღნიშნული დოკუმენტაცია არეგულირებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას და პროფესიული საგანმანათლებლო მიღებული განათლების აღიარებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს. რეგულაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თავი მეოთხე-პროფესიული სტუდენტი მუხლი 21-ით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები. კერძოდ სტუდენტს უფლება აქვს უფლება: მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება; სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მასალებით; ისარგებლოს კოლეჯის ბიბლიოთეკით; სწავლის შედეგების დამაკმაყოფილებელი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში, მოითხოვოს გადაბარება; ისარგებლოს მობილობით; გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა; მიიღოს კონსულტაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით; გაასაჩივროს კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედება.
შინაგანაწესით, საგანმანათლებლო საქმიანობის წესით, ხელშეკრულებით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხები.

ექსპერტთა შეფასებით, 3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

პსდ-ს სტუდენტების მიერ, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია განთავსებულის კოლეჯის ვებ-გვერდზე კატეგორიაში „სტუდენტი- სტუდენტთა მომსახურების სერვისები" წარმოდგენილია სტუდენტისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თავი მეოთხე პროფესიული სტუდენტი, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობას. დაწესებულების პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებს სწავლის დაწყებისას მიეწოდათ პრეზენტაციის სახით და ასევე გადაეცემათ სამახსოვრო ბარათებიც, რაც ასევე დასტურდება სტუდენტების ხელმოწერებით და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციით (2024 წლის 17 სექტემბრისა და 3 დეკემბრის პოსტებით). სტუდენტის კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობას სტუდენტის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს. პროფესიული სტუდენტებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ როგორც პირველ შეხვედრაზე, ასევე ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დაწყების დროს შეფასების წესსა და პრინციპებზე აწვდის ინფორმაციას.

ექსპერტთა შეფასებით, 3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

პროფესიული სტუდენტის ინფორმირების ვადები და მექანიზმები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში:
მუხლი 21. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი; მუხლი 22. სწავლების ფორმა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება. აღნიშნული მუხლები არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს. შეფასების პროცესში სტუდენტის უფლებები - გადაბარების ვადები, შეფასების მიღების მინიმალური ზღვარი და გასაჩივრების ვადები - გაწერილია შეფასების ინსტრუმენტში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნულის გაცნობის შესაძლებლობას შეფასების მიღებამდე.
წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პსდ-ს პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

ექსპერტთა შეფასებით, 3.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ბათუმის სამედიცინო აკადემია პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას ჩარიცხვიდან 10 დღეში. ხელშეკრულებით რეგულირდება მხარეთა უფლებები და მოვალეობები, პროგრამის ხანგრძლივობა, საფასური, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასევე სტუდენტი ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დავის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე. გადამოწმდა სტატუს შეჩერებული, სტატუს შეწყვეტილი და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებს. ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იყო არასრულწლოვანთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასეთი სტუდენტი არ ირიცხება პსდ-ში, თუმცა ხელშეკრულება აკადემიის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდება მის კანონიერ წარმომადგენელთან, როგორც „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის უფლებებით“ არის განსაზღვრული.

ექსპერტთა შეფასებით, 3.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პსდ ბათუმის სამედიცინო აკადემია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, ვინც სტანდარტული სასწავლო გეგმით სწავლას ვერ აგრძელებს - მათ შორის სსმ პირებისთვის, მობილობით გადმოსულთათვის, სტატუსაღდგენილთათვის და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.
სსსმ პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ქმნის ადაპტირებულ საგანმანათლებლო გარემოს, რაც გულისხმობს შენობებში თავისუფალ გადაადგილებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ეს გეგმა ეფუძნება პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების შემცვლელი) და/ან აკომოდაციას (მასწავლებელთა მიდგომებისა და შეფასების ფორმების ადაპტაციას შედეგების ცვლილების გარეშე) და განსაზღვრავს დამატებით საგანმანათლებლო მხარდაჭერას.
ინდივიდუალური გეგმა წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლის პროცესის განმახორციელებელ დოკუმენტს. მიმდინარე შეფასება ხორციელდება მისაღწევი შედეგების მიხედვით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად. გეგმა ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და შესაბამისი მოდულის განმახორციელებლის თანამშრომლობით მუშავდება.
შესწავლილი იქნა გარე მობილობის მაგალითი და შესაბამისად შედგენილი ისგ პროცედურები. დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა გარე მობილობა (ბრძანება N11382, 24/11/2022), განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან წერილი N1220001597776, 13/12/2022 დარეგისტრირებული პირების შესახებ, მობილობით სწავლის მსურველთა პსპ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამდგენი კომისიის შექმნის ბრძანება N12063, 14/12/2022, კომისიის სხდომის ოქმები, ანგარიშები, 2023 წლის 25 იანვრის N540 ბრძანებით მობილობით ჩარიცხულ სტუდენტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ, 2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა პროგრამისათვის საექთნო განათლება და ფარმაცია.

ექსპერტთა შეფასებით, 3.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ბრძანება №2587, 19.02.2025, ბრძანება N9777, 25.06.2025)
„საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულება“ და 2025 წლის 4 თებერვლის ბრძანება №1657 04.02.2025, ბრძანება N9777)
სტუდენტის ხელშეკრულება
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

პსდ-ს დაწესებულების შიდა რეგულაციებით გაწერილი აქვს პროფესიული სტუდენტების კონსულტირებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმები. კონსულტირებისა და მხარდაჭერის ვალდებულებები გაწერილია ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობებსა და ხელშეკრულებებში.

პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესსა და შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებთან შედეგების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირებას უწევს პსდ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აკადემიის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას ან/და ჩართულობას. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად უწევენ კონსულტირებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებთან უფრო ხშირად პირისპირ კომუნიკაცია აქვთ და ასევე სოციალური ქსელში დახურულ ჯგუფებში. სტუდენტებმა და მასწავლებლებლებლებმა აღნიშნეს, რომ კონსულტირება ხდება როგორც ინდივიდუალურიად ისე ჯგუფურად. კომუნიკაციის დროს ითვალისწინებენ პერსონალური მონაცემების შესახებ მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს. პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან გასაუბრებით და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დასტურდება, რომ პსდ პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მუხლი 19. სტუდენტების ადაპტიაცია სასწავლო გარემოსთან გაწერილია პროცედურები. პსდ-ს თანამშრომლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისას, ხორციელდება შეხვედრა ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან, რომელშიც მონაწილეობენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრის მიზანია სტუდენტებისათვის ბათუმის სამედიცინო აკადემიის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტების გაცნობა და ასევე სტუდენტებს გადაეცემათ ბრენდირებული სამახსოვრო ნივთები და სამახსოვრო ბუკლეტი, სადაც მათი უფლებები და ვალდებულებები ჩამოყალიბებული.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესები, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 24 აპრილის N5809 ბრძანებით, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შემოსული კორესპონდენციის განხილვისა და მასზე პასუხის მომზადების წესი, რომლის თანახმად, პასუხის პროექტო მზადდება პასუხისმგებელ პირზე კორესპონდენციის გადაწერიდან 3 სამუშაო დღეში და საბოლოო ჯამში წერილის რეგისტრაციიდან 5 დღეში განმცხადებელს გაეცემა პასუხი ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით (მოთხოვნის შესაბამისად). წესი ასევე ადგენს სწავლების ცნობის გაცემის ვადას- განცხადების რეგისტრაციიდან 1 სამუშაო დღეში, კოლეჯი საჯარო ინფორმაციას გასცემს დაუყონებლივ, არაუგვიანეს შესრულების ვადებს დღეში განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი დოკუმენტების გამომგზავნი დაწესებულების მიერ ან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ნორმატიული აქტებით დადგენილი ვადებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 1 თვეს.

პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და დაცულია როგორც მარეგულირებელი აქტებით დადგენილი ვადები, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადები.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

პსდ-ს პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“-ს (ბრძანება N 2587, 19.02.2025) თანახმად, ცნობიერების და მოტივაციის ამაღლების მიზნით იმართება საინფორმაციო შეხვედრები. პსდ მხარს უჭერს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და ფორუმებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობას. კოლეჯში სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის ამაღლების მიზნით, ტარდება მათი წახალისებისკენ მიმართულ აქტივობები. სტუდენტთა ინიციატივით კურსდამთავრებულთა დასკვნით ღონისძიებისათვის ადმინისტრაციამ შეიძინა 40 ფორმა, რითაც კურსდამთავრებულები წარდგნენ აღნიშნულ ღონისძიებაზე. სტუდენტების ინიციატივით დაწესებულებამ შეიძინა პინგ-პონგის მაგიდა. სტუდენტთა თვირთმათველობის ინიცირების საფუძველზე სლოგანით ,,სიკეთე ჩვენი ვალია'' მოხდა მოხუცთა თავშესაფრისათვის ეტლის შეძენა. აკადემიასა და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტები რეგულარულად (უფასოდ) ესწრებიან ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს.
სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ დაწესდა რევაზ უზუნაძის სახელობის სტიპენდია. პსდ-ს დირექტორის ბრძანებისთ შემუშავებულია რევაზ უზუნაძის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი. აღნიშნული წესის მუხლი 5-ში, ერთერთი შეფასების კრიტერიუმია:სტუდენტის აქტიური ჩართულობა სტუდენტურ საქმიანობაში (მონაწილება ღონისძიებებში, წრის სხდომების,კონფერენციის მუშაობაში. მოხსენებების მომზადება და სხვა აქტოვებებში ჩართულობა, ინიციატივების გამოვლინება, რითაც დასტურდება სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ხარისხის მართვის მენეჯერის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების სისტემატური გამოკითხვა შესაბამისი კითხვარების მეშვეობით, გააკეთოს შედეგების ანალიზი და მოამზადოს წინადადებები. ასევე სტუდენტთა და კურსდამათავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას. პროფესიულ სტუდენტებთან აქტიური თანამშრომლობის მიზნით კვლევა ხორციელდება წელიწადში ერთხელ კვლევის საგანი არის: სასწავლო პროცესი, აკადემიის ინფრასტრუქტურა, საგანამანთლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამები, სტუდენტური სერვისები, ადმინისტარციული პერსონალის და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტის მომართვის შემთხვევაში აკადემიის ადმინისტრაცია იწყებს დაუყოვნებლივ რეაგირებას მომართვაში დაფიქსირებული პრობლემის მიზეზების გამოსაკვლევად და გადასაჭრელად.
პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, დაწესებულება აუმჯობესებს სტუდენტების მომსახურებას და ეხმარება მათ არსებული გამოწვევების დაძლევაში.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულება“ და 2025 წლის 4 თებერვლის ბრძანება №1657 04.02.2025, ბრძანება N9777)
- „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ (ბრძანება N 2587, 19.02.2025)
- რევაზ უზუნაძის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი (ბრძანება N8716, 09.06.2025)

  https://www.bmeda.edu.ge/storage/documents/uzunadzis-sakhelobis-stipendiantis-sherc-1750396809.pdf
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით;
- კოლეჯის თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგებით;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- სტუდენტთა კვლევის კითხვარებით და შედეგებით;
- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით სტუდენტთა ინიციატივების შესაბამისი ღონისძიებების გამართვის შესახებ.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

აკადემიას ჰყავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მიხედვით შემდეგ საქმიანობას ახორციელებს: მოიპოვებს ინფორმაციას სტუდენტის/კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და სამუშაო გამოცდილების, ზოგადი სოციალური უნარების, კარიერული გეგმების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქმნის მომხმარებლის პროფილს სასურველი პროფესიული განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით; ეხმარება სტუდენტს პროფესიული განვიტარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში; ეხმარება კარიერული გეგმის განხორციელების გზებისა და საშუალებების იდენტიფიცირებასა და განხორციელებაში. მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს ბათუმის სამედიცინო აკადემიის კარიერური განვითარების გზამკვლევით, რომელიც შემუშავებულია აშშ-ის საელჩოს პროექტის „დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა პროფესიული განათლების სტუდენტებში პროფესიული კონსულტაციისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვით აჭარის რეგიონში.
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდასაჭერად სხვადასხვა ვაკანსების სთავაზობს. ასევე პოტენციურ მომხმარებლებთან მართავს საინფორმაცი-გაცნობით და საორიენტაციო შეხვედრებსა და საუბრებს აჭარის რეგიონის სკოლებში.
კარიერული მხარდაჭერის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მონაწილეობა მიიღო საგრანტო კონკურსში, რომლის თანახმად მოიპოვა დაფინანსება და პროექტის განხორციელების უფლება, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების სტუდენტების დასაქმების და თვითდასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა აჭარის რეგიონში პროფესიული კონსულტაციისა და და კარიერული სისტემის დანერგვით, აღნიშნული პროექტი აძლევს საშუალებას არსებულ და პოტენციური პროფესიულ სტუდენტს იყვნენ ინფორმირებული და მიიღონ კარიერული გადაწყვეტილება.
კვალიფიციური მომსახურების მიწოედების მიზნით, აკადემიამ გადაამზადა საკუთარი კადრი - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ვინაიდან კურსდამთავრებულები საკონტაქტო ინფორმაციას (ფოსტა და ტელ. ნომერი) ხშირად იცვლიან და მათთან კოლეჯის ადმინისტრაციასთან კონტაქტი თანდათან უწყდება, კოლეჯს აქვს დახურული ჯგუფი FACEBOOK სოც ქსელში, სადაც დინამიურ რეჟიმში მუდმივად მიეწოდებათ ვაკანსიების თაობაზე ინფორმაცია. პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი აწარმოებს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტთა საკონტაქტო ბაზას, რაც ეხმარება მათ ინფორმაციის მიაწოდებაში არსებული ვაკანსიების და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ. ასევე პროფესიული მასწავლებლებიც უზიარებენ აღნიშნულ ინფორმაციას სტუდენტებს. კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში, სხვადასხვა პროექტებში მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების / მსმენელების ჩართულობას.
ბათუმის სამედიცინო აკადემიას სოციალურ მედიაში შექმნილია აქვს ,,აკადემიის კურსდამთავრებულთა ჯგუფი'' რომელშიც გაერთიანებულია 300 მდე კურსდამთავრებული. აღნიშნულ ჯგუფში მუდმივად ახლდება ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია დასაქმების ფორუმების შესახებ; პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრასთან დაკავშირებით. პსდ მუდმივად მართავს შეხვედრებს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან და საავადმყოფოებთან: ავერსი რაციონალი; გეფა; პსპ; მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი. ფარმაცევტულ კომპანია ავერსთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურებად სტაჟირებას და კომპანიის საფთიაქო ქსელში აკადემიის კურსდამთავრებულების დასაქმებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

პსდ სისტემატურად ახორციელებს კურსდამთავრებულთა კვლევას სწავლის დასრულებიდან ერთი წლის ვადაში. პროცესი მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული ინსტრუმენტის - კითხვარის „კურსდამთავრებულთა გამოკითხვა“ - გამოყენებით. ინსტრუმენტის მიზანია შესწავლილი იქნას როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები აკადემიის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში; შესწავლილი იქნას სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა; მოიცავს კითხვებს დასაქმდა თუ არა მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, კმაყოფილია თუ არა აკადემიაში შეძენილი კომპეტენციებით და ა.შ. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ბოლო კვლევა განხორციელდა 2024 წელს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზისთვის.

ასევე სასწავლებელი ახორციელებს დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას. გამოკითხვის მიზანია განსაზღვროს თუ რამდენად შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა კომპეტენცია დამსაქმებელთა შესაბამისი პოზიციების მოთხოვნებთან, საკმარისია თუ პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას და სხვა.გამოკითხვის მიზანია შრომის ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კურსდამთავრებულთა კვლევის მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და აღწერილია დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 04 თებერვლის N1658 ბრძანებით. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ განხორციელებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, რომელიც ტარდება პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ, მაქსიმუმ ორი კვირის პერიოდში (კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია მუხლი 4.). გამოკითხვა ხორციელდება სტრუქტურირებული, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის - „კურსდამთავრებულთა გამოკითხვა“ - მეშვეობით ელექტრონულ ფორმატში..

გამოკითხვის მიზანია გამოკითხვის მიზანია შესწავლილი იქნას როგორ აფასებენ ბათუმის სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში და მოპოვებული იქნას ინფორმაცია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებით. რაც პსდ-ს საშუალებას აძლევს, განახორციელოს მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი და განათლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

ექსპერტთა შეფასებით, 3.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებული განხორციელებული ღონისძიებები (მათ შორის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული);
- პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;
- კვლევის შედეგების ანალიზი
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ბათუმის სამედიცინო აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მეორე თავით განსაზღვრულია აკადემიის მართვის საკითხი. აკადემიის მართვის ორგანოებია: პარტნიორთა საერთო კრება; დირექტორი. აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაციული სამსახური; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. აკადემიაში ხარისხის მართვას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. სტუდენტთა და კურსამთავრებულთა მხარდაჭერის მიზნით აკადემიას ჰყავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სპეციალისტი. აკადემიაში მართვის სისტემის გამჭვირვალობის, გადაწყვეტილების მიღებაში აკადემიის საზოგადოების სრულფასოვანი ჩართულობის და კომპეტენტური რჩევებისათვის შექმნილია სათათბირო, კოლეგიური ორგანო - მრჩეველთა საბჭო. საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხები განისაზღვრება ბათუმის სამედიცინო აკადემიის მრჩეველთა საბჭოს დებულებით. აკადემიის დამხმარე პერსონალს განეკუთვნება აკადემიის საჭიროებისათვის ხელშეკრულებით დაქირავებული პერსონალი. დამხმარე პერსონალის უფლებამოვალეობები განსაზღვრება მათთან დადებული ხელშეკრულებით. აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს, აკადემიაში დასაქმებულ პერსონალს მართავს და ზედამხედველობას უწევს აკადემიის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულების მეორე თავში (მუხლი 5,6,7,8,9,10,11,12,13) მკაფიოდ არის გაწერილი თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროები, თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა შეფასებით, 4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

აკადემიას შემუშავებული აქვს საშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა პირისთვის სამუშაო აღწერილობა. დოკუმენტებში ნათლად არის ჩამოყალიბებული პირის შესასრულებელი ფუნქცია- მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფეროები, სტრუქტურული დაქვემდებარების იერარქია და პოზიციის შესაბამისი სავალდებულო კომპეტენციების ფლობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ასევე აკადემიის მიერ შემუშავებულ დაწესებულების მარეგულირებელ დებულებებში და წესებში.

ექსპერტთა შეფასებით, 4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

პერსონალის ფუნქცია-მოავლეობები გაწერილია შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დებულებაში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში და პროცესების მართვის შესახებ გამოცემულ შიდა დოკუმენტაციაში. პერსონალის ძირითად მოვალეობებს მოიცავს ასევე შრომითი ხელშეკრულებებიც.
თანმდებობრივი ინსტრუქციები მოიცავს შემდეგს: თანამდებობა - თანამდებობის დასახელება, უშუალო ხელმძღვანელი, დაქვემდებარებული პერსონალი; ძირითადი მოვალეობები და ვალდებულებები; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; უნარები; სპეციფიური ცოდნა; დამატებიტი მოთხოვნები. თანამდებობრივი ინსტრუქციების შესწავლისა და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ ინტერესთა კონფლიქტი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქციებში არ იკვეთება.

ექსპერტთა შეფასებით, 4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრუქტურა
- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის საშტატო განრიგი (ბრძანება №1657, 04.02.2025)
- თანამშრომელთ ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სამუშაო აღწერილობები;
- კოლეჯის თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

პერსონალის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება აკადემიის მისიის, მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისად. ის ეფუძნება საქართველოს კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებას, შრომის შინაგანაწესს საფუძველზე. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია: პერსონალის მოზიდვა; პერსონალის შერჩევა და მიღება; პერსონალის განვითარება; შრომითი ურთიერთობების რეგულირება;
შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის შინაგანაწესი შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და მასში განსაზღვრულია განსაზღვრულია: ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები; პერსონალის მიერ დისციპლინის დაცვას და მათი ძირითად მოვალეობები; სამუშაო დროს და მისი გამოყენების წესი; სასწავლო განრიგი; წესრიგის დაცვა.

ექსპერტთა შეფასებით, 4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში კადრების მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დასაცვის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები: მუხლი 3. კადრის საჭიროების განსაზღვრა, მოზიდვა; მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება; მუხლი 5. კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა; მუხლი 6. კონკურსის ეტაპები; მუხლი 7. კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები; მუხლი 8. საპრეტენზიო კომისია.
პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, 4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

აკადემიას პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვს პსდ საშტატო ნუსხის ყველა პოზიციისთვის, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. საშტატო ნუსხის შესაბამისად შემუშავებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც თიტოეულ თანამშრომლის პირად საქმეშია განტავსებული.

ექსპერტთა შეფასებით, 4.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანებია: ხელი შეუწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება- გაძლიერებას, საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. აკაემიაში მნიშვნელოვანი საკითხების/პროექტების გადაჭრისთვის იქმნება სამუშაო ჯგუფები - რეავტორიზაციისთვის დაწესებულების მომზადებისთვის სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიულ გეგმის მონიტორინგის/ცვლილებების განმახორციელების სამუშაო ჯგუფი. აკადემიაში მართვის სისტემის გამჭვირვალობის, გადაწყვეტილების მიღებაში აკადემიის საზოგადოების სრულფასოვანი ჩართულობის და კომპეტენტური რჩევებისათვის შექმნილია სათათბირო, კოლეგიური ორგანო - მრჩეველთა საბჭო.

ექსპერტთა შეფასებით, 4.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი (ბრძანება N4402 28.03.2025 წ.)
- ,,პერსონალის მართვის პოლიტიკა'' (ბრძანება №1130, 27.01.2025, ცვლილება ბრძანება N9777, 25.06.2025)
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- შინაგანაწესი;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

პსდ-ს სტრატეგიული დოკუმენტების მიხედვით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ შუალედურ ანგარიშებს, რომლის შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს და/ან მყისიერად განხორციელდეს საჭირო ცვლილებები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, თანამშრომლები შესრულებული სამუშაოს ანგარიშებს წარუდგენენ უშუალო ხელმძღვანელებს, რომლებიც თავის მხრივ შეჯამებული სახით ინფორმაციას გადასცემენ კოლეჯის დირექტორს. დოკუმენტაციის შესწავლის დროს შემთხვევითი პრინციპით გავეცანით 2022წლის 21ოქტომბრისა და 2024 წლის 2024 წლის 11 ნოემბრის ხარისხის მართვის მენეჯერის წლიური ანგარიშს. აკადემიას შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლებითაც ახდენს პერსონალის კმყოფილებისა და განვითარების საჭიროებათა კვლევას. პერსონალის კომპეტენტურობის შეფასებითვის შემუშავებული აქვს წესი, რომლის მიხედვით ფასდება განვლილი სამუშაო წელი.
პსდ-ს შემუშავებული აქვს 360-გრადუსიანი შეფასება (ჯერ პრაქტიკაში არ დანერგილა) ადმინისტრაციული პერსონალის შესაფასებლად. დოკუმენტის შესწავლისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ 360-გრადუსიანი შეფასების, ანუ იგივე უკუკავშირის სისტემა, აერთიანებს კოლეგების, მენეჯერების, თანამშრომლებისა და მომხმარებლების შეფასებებს, რათა შეგროვდეს უკუკავშირები კონკრეტული თანამშრომლის შესრულებისა და კომპეტენციების შესახებ. ამ მეთოდით მოპოვებული სხვადასხვა მონაცემები უზრუნველყოფს თანამშრომელთა უნარების, სამუშაო ჩვევებისა და განვითარების ზუსტ ანალიზს. აღსანიშნავია, რომ არ არის მხოლოდ ზემდგომი მენეჯერის შეფასება, არამედ მოიცავს იმ ადამიანების შეფასებასაც, ვისთანაც თანამშრომელი ყოველდღიურ საქმიანობაში ურთიერთობს. რაც სამომავლოდ თითოეულ თანამშრომელს დაეხმარება პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევაში. 360-გრადუსიან შეფასებამდე კოლეჯის დირექტორი აფასებდა თანამშრომლებს.

ექსპერტთა შეფასებით, 4.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას. ბოლო განხორციელებული კვლევის ანგარიშით, საქმინობის უკეთ წარმართვის მიზნით, პერსონალის მიერ იდენტიფიცირებული იქნა დამატებით ტრენინგების/კონსულტაციების/ვორკშოპების ჩატარება შემდეგ საკითხებზე: სტრატეგიული დაგეგმარება, კომპიუტერული-უნარ-ჩვევები, შეფასების საკითხები. აღნიშნული საკითხები დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში. 2025 წელს ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე დაგეგმილია პერსონალის განვითარების 2 ღონისძიება: პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შემუშავება და ტრენინგი ციფრულ უნარებსა და შეფასების მეთოდებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, 4.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

აკადემიის პერსონალი აქტიურადაა ჩართული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ და ასევე სხვა გარე ტრენინგებში.

პროფესიულ განათლებაში მიმდინარე პროცესების საჭიროებიდან გამომდინარე, აკადემიაში ხშირად ტარდება შიდა ვორქშოპები/ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ. აკადემიის ადმინისტრაცია პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, დარგში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით გეგმავს და ატარებს სამუშაო შეხვედრების.

დაწესებულების მმართველი გუნდის პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში 2025წელს ჩატარდა ტრენინგი „ლიდერობა და მოტივაცია“. 2024 წლის ოქტომბერში ბათუმის სამედიცინო აკადემიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგების ციკლში „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარება კოლეჯებისთვის“, რომელიც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული და ტრენინგის თემა იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით.

2025წლის 17მარტიდან 17აპრილის ჩათვლით ჩატარდა ტრნინგი თემაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. პსდ-ს დირექტორის ბრზანების (ბრძანება N3474, 11/03/2025) საფუძველზე დაფინანსებული იყო 40საათიანი ტრენინგ კურსი.

ექსპერტთა შეფასებით, 4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციის და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის პროცესში ჩართულია: ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხსიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობას . ადაპტაციის პროცესში ჩართულია ასევე უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია დავალებების მიცემაზე, შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და უკუკავშირზე. ადაპტაციის პროცესში ჩართული პირების მოვალეობაა ახალი თანამშრომლის სამუშაო ადგილზე მოწყობა და უზრუნველყოფა სამუშაო ტექნიკით, საკანცელარიო/მატერიალური რესურსით.

ქსპერტთა შეფასებით, 4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

პერსონალის მართვასთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურები ითვალისწინებენ პერსონალის საჭიროებების, კმაყოფილების კვლევას, რაც მოიაზრებს, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. გამოკითხვის/პერსონალის ინიციატივის საფუძველზე აკადემია რეაგირებს და გეგმავს შესაბამის ტრენინგებს, გასვლით ღონისძიებებს, ექსკურსიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ თანამშრომლები ინიციატივებით მიმართავენ ადმინისტრაციას, რაც ხშირ შემთხვევაში მხარდაჭერილია. 2025 წლის 12 მაისს კოლეჯის დირექტორს მიმართეს თიმბილდინგის ინიცირებით (N2-36, 12.05.2025), რაც დაკმაყოფილებული იყო და აღნიშნული აქტივობა ჩატარდა 2025წლის 8 ივნისს https://short-link.me/16ZVJ
ასევე თიმბილდინგის შეხვედრა განხორციელდა 2024 წლის ნოემბერში https://short-link.me/12Mde

ექსპერტთა შეფასებით, 4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმით
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში 2021-2022 წ
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში 2024-2025წ
- ტრენინგ კურსის ჩატარების შესახებ ბრძანება N3474, 11/03/2025
- თიმბილდინგის ინიცირება N2-36, 12/05/2025
- თიმბილდინგის ჩატარების ამსახველი მასალა 2025 წლის ივნისი https://short-link.me/16ZVJ
- თიმბილდინგის ჩატარების ამსახველი მასალა 2024 წლის ნოემბერში https://short-link.me/12Mde
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

აკადემიის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა იჯარით აღებული ფართების აზომვითი ნახაზები აკადემიის განთავსების შენობისთვის.

აზომვითი ნახაზი - შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის მე-6 სართული, ბათუმი, ტბეთის ქუჩა 4. სართულზე ფართია 930 კვ,მ და ასევე, საერთო სარგებლობის ფართი იჯარის მიხედვით 205.8 კვ.მ

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით 2025 წლის 10 მარტის 882025256386 განცხადების საფუძველზე , 2031 წლის 1 ოქტომბრამდე მოიჯარედ ფიქსირდება შპს ,,ბათუმის სამედიცინო აკადემია'', მე-6 სართულზე, საერთო ფართი 1098.8 დან 930 კვ.მ-ზე. იჯარის ხელშეკრულება 03-14 გაფორმებულია 2025 წლის 10 მარტს

დაწესებულების ფართი შედგება შემდეგი სივრცეებისგან: ფოიე, აივანი 8 სასწავლო აუდიტორია A,B,C, (მათ შორის ქიმიური ლაბორატორია, აფთიაქის სიმულაციური გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი 1 სასწავლო ფართი), ბიბლიოთეკა შესაბამისი სამკითხველო სივრცით, არქივი, ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლების სამუშაო სივრცეები, სარეკრეაციო სივრცეები, 5 სანიტარული კვანძი, რომელთა შორის ერთი ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირთა საჭიროებისთვის.

ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტეეული ტექნიკით. მატერიალური რესურსების მართვა/შეფასება კოლეჯში რეგულარულად ხორციელდება 2025 წლის 19 თებერვლის N2587 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესის" შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.1. მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშია და კოლეჯის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის N2587

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესის“, რომლის მე-2 თავი არეგულირებს კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობა, კერძოდ, ამ თავის 1-ლი პუნქტის მიხედვით ,,აკადემიის თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, უფლებამოსილია გამოიყენოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აკადემიის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ აკადემიის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით“.

სტუდენტები უფლებამოსილი არიან გამოიყენონ კოლეჯის სასწავლო თუ დამხმარე ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა, შიდა სივრცეში განთავსებულია მოსასვენებელი ადგილები, კოლეჯის აივანიც განკუთვნილია, როგორც დასვენებისთვის, ასევე თავშეყრისთვის და შეუზღუდავადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, მათ შორის მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია და საკმარისია სასწავლო გარემოს სრულყოფისათვის. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.2. მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშია და დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

დაწესებულებაში მოქმედებს ,,სანიტარულ - ჰიგიენური წესებისა და უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟი“, რომელშიც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა/დასუფთვების პასუხისმგებლობა და კოლეჯის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. დათვალიერების შედეგად თვალნათლივ ჩანს, რომ კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების წარემომადგენლებთან გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დასუფთავება და ნარჩენების გატანა ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება, ასევე პანდემიის დროს გრაფიკით ხდებოდა ფართებისა დეზინფექცია და დასუფთავება. კოლეჯში აღნიშნულს ახორციელებს ტექნიკური პერსონალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ინდიკატორის 5.1.1.3. მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშია და დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ორივე ლოკაციაზე, ყველა სივრცეში, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯში ივნისში, განხორციელდა ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება, რომელთა ფუნქციონირება დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. გაზის შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით ზამთრის თვეების დავალიანების გადახდით დაბალი თანხა ფიქსირდება, თუმცა კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით შენობა სრულად თბება და გადასახადი ბევრი არ ფიქსირდება, შესაბამისმა სამსახურმაც შეამოწმა და ტექნიკური გაუმართაობა გამოირიცხა. გათბობის სისტემით კმაყოფილება სტუდენტების გასაუბრებითაც დადსტურდა ექსპერტებთაბ ინტერვიუირებისისას. **შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ინდიკატორის 5.1.1.4. მოთხოვნა სრულ შესაბამისობაშია და კოლეჯის ორივე ლოკაციაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

შპს "ბათუმის სამედიცინო აკადემია" -ს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გეგმის მთავარი მიზანია სტრუქტურირებული მიდგომის შექმნა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას დაწესებულებაში არსებული ძირითადი რისკების მინიმიზაციისთვის. მსგავსი მიდგომა ასევე ხელს შეუწყობს საფრთხისშემცველი ქმედებების და პირობების წარმოშობის პრევენციას, ჯანმრთელობისთვის საზიანო ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საწარმოო ფაქტორების კონტროლს, მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვას და დანერგვას, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში აღმოფხვრას.

წინამდებარე შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გეგმაში ასახულია სისტემის მართვის ორგანიზების საკითხები დაწესებულების სამუშაო სივრცეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს "ბათუმის სამედიცინო აკადემია" უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის დანერგვას და მართვას დაწესებულებაში.შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ძირითადი ფუნქციებია:
შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის საკითხებზე რეკომენდაციების წარმოდგენა, კონსულტაცია შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის საკითხებზე, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის მონიტორინგი, პროფესიული რისკების შეფასების პროცესის ორგანიზება და წარმართვა, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემების, დამხმარე გეგმების და პროცედურების შემუშავება, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის მუშაობის წარმართვა, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლების შემუშავება, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გამოყოფა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე მყისიერი რეაგირება, საფრთხის შემცველი ფაქტორების შესახებ ინფორმირება და სხვა.

აკადემია 2024 წლის 27 აგვისტოს №03-13 მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს შპს ,,სეიფთი ქორფ''-თან, რომელიც ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვასა და შპს ,,სეიფთი ქორფ''-ის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება 01-09/431 -თ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება-მოვალეობა დაეკისრა ორ პირს.

კოლეჯის თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები შრომის უსაფრთხოებაზე. ტრენინგების თემატიკა მოიცავს შრომის უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს, პირველად დახმარებას, უსაფრთხო შრომის პრინციპებს, შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას, ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების წესებს, მანქანა-დანადგარებთან უსაფრთხო მუშაობის პროცედურებსა და წესებს, სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების წესებს, საგანგებო სიტუაციებისა და საევაკუაციო ღონისძიებებს, მათი განხორციელების წეესებს, ობიექტზე არსებულ საფრთხეებს, რისკები და მათი კონტროლის ზომებს შესაბამისი ინსტრუქციების შესაბამისად, ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობის წესებს და სხვას.

დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა №14231 01.10.2024 ბრძანებით. კოლეჯში რისკის შეფასება განხორციელდება პერიოდულად 4 თვეში ერთხელ, დაწესებულებაში განსაზღვრული გეგმის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ათ კალენდარული დღეში ერთხელ. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა რისკების შეფასების თითქმის ყოველთვიურად შემუშავებული დოკუმენტები

შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.5 მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია და დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
შპს საზოგადოებრივი კოლოჯ ფანასკერტელის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია კოლეჯში სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელ მომარაგების ვადები, პროცედურები და პასუხისმგებლობები. წესი ასევე მოიცავს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებისა და ნარჩენების მართვას.

წესის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწვლებელი ვალდებულია მოდულის დაწყებამდე 1 კვირით ადრე პგ/პ წერილობით აცნობოს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მასალისა და ნედლეულის სია. დირექტორის თანხმობის საფუძველზე, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი ფინანსურ მენეჯერთან ერთად შეისწავლის ბაზარზე არსებულ ფასებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახორციელებს მატერიალური რესურსების, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო რაოდენობით. აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება და აღრიცხვა.

აღნიშნული წესის გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისთვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის მიწოდება. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.6. მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია და დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ საფუძველზე რეგულარულად ხორციელდება კოლეჯის რესურსების შეფასება. შეფასების მეთოდად ხარისხის მართვის სამსახურს გამოყენებული აქვს გამოკითხვის მეთოდი. ისინი ყოველწლიურად ახორციელებენ კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობები.

როგორც შესწავლილი დოკუმენტებიდან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი გაირკვა, კოლეჯში, რაოდენობირივი კვლევასთან ერთად ხდება პროცესზე დაკვირვება. ხარისხის მართვის მენეჯერის გარდა კვლევაში შეიძლება ჩაერთოს კოლეჯის თანამშრომლები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ კვლევას და შეფასებას. ძირითადად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების და საჭიროების კვლევის შედეგები.

საზოგადოებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროების კვლევა და სხვა, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი უკუკავშირი, მათ შორის დაწესებულების ფეისბუქ-გვერდზე სხვადასხვა აქტივობების შეფასებები, კომენტარები, წერილები დაწესებულების მიერ გამოიყენება მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაწესებულების მატერიალური რესურსების, IT ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის. რესურსების შემოწმება ხდება ყოველწლიურად.

საზოგადოდ, ყველა კვლევის შედეგი აკუმულირდება ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან და ანალიზის შედეგების საფუძველზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად დგება კონკრეტული საჭიროებისათვის განვითარების სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩატარდა გასაუბრება ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან, რომელმაც განმარტა, რომ გარდა გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციისა რესურსების საკმარისობასთან და განვითარებასთან დაკავშირებით, დაწესებულება ახორციელებს რესურსების რეგულარულ შეფასებას მოდულების მიხედვით და გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების შევსება მათთან კოორდინაციით.

პროფესიული განათლების მასწავლებლების ინტერვიუების ფარგლებში გაირკვა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს სააუდიტორიო მეცადინეობებზე/პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესებზე დასწრებას და ამ პროცესებში გამოყენებული რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და მათ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს დირექტორის ბრძანებები მატერიალური რესურსების შევსება/შეკეთება/განახლებასთან მიმართებაში, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შეფასება, ანალიზი და რეკომენდაციები და ყოველივე აღნიშნულის შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით **ინდიკატორის 5.1.1.7. მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია და კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის შენობაში გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძები, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით, აქვს ვენტილაციის საშუალება, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. კოლეჯის ყველა სველ წერტილში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, განთავსებულია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელის ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერები, კოლეჯს ასევე აქვს ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირებისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორის 5.1.1.8. მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია**

და კოლეჯში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

კოლეჯის ყველა აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.9. მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია;**

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

კოლეჯში გამოყოფილია განცალკევებული სამუშაო ოთახები ადმინისტრაციული პერსონალისთვის და სასაწავლო აუდიტორიები. ასევე, გამოყოფილია ფართი სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების სათავსოებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.10. მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია;**

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

აკადემიაში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომლიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, მათ შორის, შშმ პირებისთვისაც.

ბიბლიოთეკებში თვალსაჩინო ადგილას და კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია ს კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 8 თებერვლის N3774 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.

ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00 სთ-დან – 18.00-მდე, ხოლო შაბათს - დილის 10.00 სთ-დან-14.00 სთ-მდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ინტერვიუებით დადგინდა, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში საკმაოდ მაღალია მიმართვიანობა, თუმცა, პროფესიული სტუდენტები ბეჭდურ ვერსიებზე მეტად ელექტრონულ სახელმძღვანელოებს ირჩევენ.

კოლეჯის ბიბლიოთეკარის ხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება. ასევე, კოლეჯში აქტიურად მიმდინარეობს საგანამანათლებლო რესურსის გაციფრულება მისი ვებგვერდზე განთავსების მიზნით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

პროფესიულ სტუდენტს და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. მსურველებისთვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება და მომახურებით (ასლების გადაღება, ბეჭდვა, ელ ვერსიის შექმნა/ჩაწერა) სარგებლობა უფასოა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio", სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები რუბრიკაში „ელექტრონული წიგნები". ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი, მათ შორის 3 მკითხველისთვის, პრინტერი და 6 სამუშაო მაგიდა. წიგნადი ფონდი ინვენტარიზებულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ბიბლიოთეკარის პირადი საქმის შესწავლითა და მასთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინტერვიუებით დადასტურდა, რომ კოლეჯის პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი.
შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.11 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ,,მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი";
- შრომის უსაფრთხოების მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი, რომელშიც დასტურდება რომ საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ განხილული და შეთანხმებული იქნა აკადემიის საგანგებო სიტუაციების გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების" შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6

ოქტომბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის № 847 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების გეგმა, გეგმაში წარმოდგენილია საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები და წევრების პოზიციები კოლეჯში. საგანგებო შტაბის უფროსი არის აკადემიის დირექტორი. ხოლო, საევაკუაციო ჯგუფის უფროსია აკადემიის უსაფრთხოების სპეციალისტი.

საგანგებო შტაბი ახორციელებს ოპერატიულ დონეზე ურთიერთთანამშრომლობას საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივ ოპერატიულ ცენტრათან, მხარადმჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას, მოკვლევებისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას და ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა (004146725) აკადემიის სარგებლობაში არსებული შენობის (ბათუმი, ტბეთის ქ 4-ში) მდგრადობის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, შენობას არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის დაზიანებები, რაც საფრთხეს შეუქმნის მის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას, შენობის მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელია.
*აკადემიას შენობისთვის არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა მხოლოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა და მოწყობილობების გამოცდის აქტი, რომელიც თარიღდება 2022 წლის 21 სექტემბრით. შენობა ახალაშენებულია, აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და მიღებულია ექსპლოატაციაში ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 29 ნოემბრის ბრძანება -ბ12.1422333001, **თუმცა უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი დასკვნის გარეშე ექსპერტებმა დასკვნის პროექტში 5.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვა შეაფასეს როგორც შეუსაბამო.***

აკადემიამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობისას წარმოადგინა არგუმენტიებული პოზიცია და დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გათვალიწინებულია აქტივობები სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად 2025 წლის 25 სექტემბრამდე. წარმოდგენილი წერილის თანახმად, 2025 წლის 29 ივლისს უკვე განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წარმომადგენელთა ვიზიტი აკადემიაში. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით დასკვნაში 5.1.2.1 შეფასდა მეტწილი შეფასებით.

რეკომენდირებულია აკადემიამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება მოიცავს ინფორმაციას პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებთან დაკავშირებით. აკადემიის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია მედდა . სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შესასრულებელი ფუნქცია - მოვალეობები.

აკადემიაში არის ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. სტუდენტები და კოლეჯში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებისა და ქმედებების შესახებ, კედელზე გამოკრულია პირველადი დახმარებისთვის განსახორციელებელი ტელეფონის ნომერი. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ სარეგისტრაციო ჟურნალს. ყოველივე **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 5.1.2.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

აკადემიამ წარმოადგინა კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, გეგმა დამტკიცებულია აკადემიის 2025 წლის 22 იანვრის 847 ბრძანებით, რომელიც შემუშავებულია კოლეჯის მიერ და განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა, ასევე რისკები. 2025 წლის 24 იანვარს 01 წერილით აკადემიამ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და წარუდგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რის პასუხადაც 2025 წლის 27 იანვრის 218359 წერილით აკადემიას ეცნობა, რომ გეგმა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის 452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. 2025 წლის 30 მაისს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები შეხვდნენ აკადემიის სტუდენტებსა და ადმინისტრაციას გააცნეს როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს, ხანძრის ან სხვა საფრთხის შემთხვევისას, როგორ დატოვონ სივრცე სწორად და უსაფრთხოდ. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების მიხედვით შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტორი დადგენილი გრაფიკით ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟების, რომლის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ჟურნალები და ფოტომასალა. **ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინდიკატორის 5.1.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში მოქმედებს კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკას შორის გაფორმებული 2025 წლის 10 მარტის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 3.1.4. პუნქტის თანახმად, მეიჯარე იღებს ვალდებულებას დაიცვას შიდა და გარე პერიმეტრზე წესრიგი.
აკადემიას აქვს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე, სწავლების დროს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის შიდა და მიმდებარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლის სისტემით.

შიდა რეგულაციებით გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით ვიდეოკონტროლის განხორციელება, გამოყოფილია კონტროლსა და ვიდეოჩანაწერებთან წვდომაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 5.1.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- მედდის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
- წესრიგის დაცვის რეგულაციები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- დაცვასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნა მდგრადობის შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

დაწესებულების შენობები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. შენობაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე ქსელური ინტერნეტი, რაც დადასტურდება ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის საფასურის გადახდის დოკუმენტაციით. დაწესებულებაში გამოყოფილია 29 პერსონალური კომპიუტერი და და 14 ლეპტოპი (8 გამოიყენება ადმინისტრაციისთვის), ხოლო სასწავლო პროცესისთვის B გარემოში გათვალისწიებლია სტუდენტებისთვის 20 ადგილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

აკადემიას გაცნობიერებული აქვს რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მართვა და სარგებლობა წარმოადგენს ორგანიზაციის კრიტიკულ ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას, უსაფრთხოებას და უწყვეტობას. რისთვისაც შემუშავებული აქვს პროცედურები რომელიც განსაზღვრავს განსაზღვრავს IT სისტემების მართვის პროცესებს, მათ შორის IT რისკების მართვას.
მუდმივად ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვა, განახლება და უსაფრთხოების დაცვა.
ხორციელდება კომპიუტერებში პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან დაცვა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და შეკეთება. კომპიუტერული ტექნიკისათვის ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფა . კომპიუტერები უზრუნველყოფილია ვირუსისგან დამცავი სისტემით, რომელიც პერიოდულად ახლდება.
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ინფორმაციული ტექნოლოგიების და მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს.**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 5.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

აკადემია 2024 წლის 27 აგვისტოს №03-13 მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს შპს ,,სეიფთი ქორფ''-თან, რომელიც ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვასა და მონირორინგს.
ხელშეკრულება ძალშია 2024 წლის 1 სექტემბრიდან და ძალაშია 1 წლის ვადით, 2025 წლის 1 სექტემბრამდე თუმცა ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდგომში ვადის გაგრძელების პერსპერქტივას.

დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით მოქმედებს შპს.ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2025 წლის 3 თებერვლის №1628 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და გამოცემულია შესაბამისი შიდა რეგულაცია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი''. დოკუმენტი წარმოადგენს მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის უფრო ფართო ჩარჩოს ძირითად ელემენტს. იგი ხელს უწყობს კონკრეტული რისკების იდენტიფიცირებას აკადემიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე, აღნიშნული რისკების პოტენციური გავლენის შეფასებას და მათ შესამცირებლად შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც საკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის ამუშავებს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, პერსონალის, მოწვეული პერსონალისა და სხვა თანამშრომლების მონაცემებს, მათ შორის

არასრულწლოვნის მონაცემებსაც. საკუთარი უფლებამოსილებისა და მოვალეობების სრულფასოვნად შესრულებისათვის აკადემიას ესაჭიროება პერსონალურ მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. აღნიშნული პროცესი იწყება სტუდენტთა აკადემიაში რეგისტრაციის დღიდან და გრძელდება მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე, ასევე, შრომითი ურთიერთობების ვადით, დასაქმებულების შემთხვევაში. სუბიექტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ დამუშავებული მონაცემები მოიცავს სტუდენტების და თანამშრომლების პირადი მონაცემების, სტუდენტის აკადემიაში სწავლის განმავლობაში მისი შეფასებისა და აქტიურობის შესახებ ინფორმაციებს.

აკადემიაში მონაცემები მუშავდება როგორც ელექტრონული პლატფორმების, ასევე - ქაღალდურ მატარებლებზეც. პერსონალური მონაცემების დაცვა საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა, შესაბამისად მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ რეგლამენტირებული პროცესია და აკადემია უზრუნველყოფს ყველა წევრის პერსონალური მონაცემების დაცვას, რისთვისაც მას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი და განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

აკადემია ამუშავებს შემდეგი ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემებს:

ა) მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები;

ბ) ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატები;

გ) სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები;

დ) მოწვეული/პროფესიული მასწავლებლები;

ე) აპლიკანტები;

ვ) ვიზიტორები;

ზ) არასრულწლოვნები;

თ) ადმინისტრაციული და დამხმარე პირები;

ი) მსმენელები;

კ) ვიდეოთვალთვალის არეალში მოხვედრილი სხვა პირები.

დამტკიცებულია 2024 წლის 02 დეკემბრის ბრძანებით ,,პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ პოლიტიკა'', ხოლო 2025 წლის 3 თებერვლის 1628 ბრძანებით დამტკიცდა ,,მონაცემთა დაცვაზე ზეგავლების შეფასების დოკუმენტი.

ვიზიტის დროს აკადემიამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ ჩატარებული ტრენინგებზე დასწრების ფურცლები, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგი გაიარეს აკადემიის თანამშრომლებმა.
წარმოდგენილი რეგულეციების და პრაქტიკის შესწავლის შედეგად ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და გამომდინარე აქედან, **ინდიკატორის 5.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ბათუმის სამედიცინო აკადემიაში შემუშავებული არის ,,პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა" და ,,მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის

შეფასების დოკუმენტი'' რომლითაც განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები და საფუძვლები. ამავე პროცედურით განსაზღვრულაი აკადემიაში ვიდეოკონტროლის საფუძვლები, კონტროლს დაქვემდებარებული არეალი, ინფორმაციის წვდომასა და დამუშავება-დაცვაზე პასუხსიმგებელი პირები. აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციას მოიცავს ასევე დაწესებულების მიერ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პუნქტები.

IT ინფრასტრუქტურის შეფასებისთვის კოლეჯს ცალკე კითხვარი არ აქვს, თუმცა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ფორმები ითვალისწინებს შესაბამის კითხვებს და ანალიზის შესაბამისად დაწესებულება აუმჯობესებს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. 2025 წლის იანვარ თებერვალში მოხდა IT ტექნოლოგიების განახლება . აკადემიამ შეიძინა 2 ინტერაქციული დაფა და 4 ნოუთბუქი.

ასევე, სისტემების დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში ითვალისწინებს სისტემების ტექნიკურ და ფუნქციურ შესაძლებლობებს, რათა არ მოხდეს სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის შეფერხება. შესაბამისად, განხილული დოკუმენტაციისა და სტუდენტებთან გასაუბრებების შედეგებით დასტურდება, რომ **ინდიკატორის 5.2.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

პროფესიული სწავლებისთვის და მართვისთვის განკუთვნილ ფართში კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. დაწესებულებაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მისი პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის, საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ნებისმიერ სასწავლო და სამუშაო დროს ისარგებლონ საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის მომსახურებითა და კონსულტაციით.

კოლეჯის ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული ტუდენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზში განთავსებული კომპიუტერებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერიდა ინტერნეტი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია შეუფერხებლად, პაროლის გარეშე. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა ასევე რეგულირდება კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით. გამომდინარე აქედან, **ინდიკატორის 5.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დაწესებულებაში პროფესიული განათლების ცენტრში გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაინტერესებულ მხარეებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტის მისამართებს. დაწესებულებას შექმნილი აქვს მათი ელექტრონული ფოსტების ერთიანი ბაზები. გარდა ამისა, ცენტრი შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა დახურულ ჯგუფებსა და ე.წ ჩატებს სოციალურ ქსელში, აღნიშნული დასტურდება როგორც პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან გასაუბრების შედეგებით ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებლებთანაც. გამომდინარე აქედან, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში დასტურდება ერთიანი საკომუნიკაციო არხების გამოყენების პრაქტიკა. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 19 თებერვლის N2587 ბრძანებით ,,მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი''
- IT ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი;
- IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქცია-მოვალეობები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაცია;
- პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებები, ვებგვერდის და სოციალური ქსელის დათავლიერების შედეგები;
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 25 აპრილს N 5809 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, რომელიც განსაზღვრავს აკადემიაში საქმის წარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. ასევე განსაზღვრავს აკადემიაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების საფუძვლებს.

აკადემიაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა eflow –ს მეშვეობით. ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული/ატვირთული ბრძანებები სასწავლებლის საქმისწარმოების მენეჯერის მიერ რეგისტრირდება მატერიალურ ჟურნალში და ინახება მატერიალურადაც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არასტანდარტული სიტუაციებში (eflow-ს ხარვეზის და ა.შ.) ბრძანებები ფორმდება სველი წესით და ცოცხალი ბეჭდით ხდება ბრძანების გამოცემა. ხარვეზის/არასტანდარტული ვითარების აღმოფხვრის შემდგომ ბრძანების ატვირთვა ხდება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eflow)-ში.

დაწესებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰყავს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

აკადემიაში შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება მატერიალურად, სხვადასხვა სახის დოკუმენტები რეგისტრირდება განსხვავებული ინდექსაციით და მატერიალურ ჟურნალში ხდება აღრიცხვა, სადაც ფიქსირდება ტექნიკური ხასიათის უზუსტობები ნუმერაციის მინიჭებისას, ამდენად, სასურველია, აკადემიამ ეფექტურად გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow) და ამ მიმართულებით გააძლიეროს თანამშრომელთა შესაძლებლობები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ იგივე საკითხები რეგულირდება აკადემიის დირექტორის 2025 4 თებერვლისN 1657 „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით '' , კერძოდ თავი მეექვსე „საქმისწარმოების წესით", მუხლი 30 ადგენს ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს. სასურველია საკითხის რეგულირებისთვის აკადემიამ გამოიყენოს ერთი შიდა მარეგულირებელი აქტი და არ დუბლირდებოდეს სხვადასხვა ბრძანებაში.

ჩატარდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან, ამასთანავე შემოწმდა სარეგისტრაციო ჟურნალები, EFLOW-ს შევსება, რომლის საფუძველზეც ექსპერტების მიერ დასტურდება, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება **შეესაბამება ინდიკატორით 5.2.2.1 გასაზღვრულ მოთხოვნებს და დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა WWW.EFLOW.EMIS.GE.

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალური ქსელებს, Google-ის პლატფორმას, ელექტრონულ ფოსტას. აკადემია სასწავლო პროცესის მართვაში ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები.

აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული 2024 წლის 01 ნომებრის ხელშეკრულება #03/22 ელექტრონულ სიტემაში (eFlow) ჩართვის შესახებ და იყენებს 3 იუზერს: დირექტორი; საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსებით მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი.

აღნიშნულის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების ყველა თანამშრომელი ჩართულია ელექტრონულ სისტემაში. თუმცა დაწესებულება WWW.EFLOW.EMIS.GE -ის გარდა იყენებს სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, office 365, zoom და სხვა.

ელექტრონულ საქმისწარმოებაზე კოლეჯი სრულად ჯერ არაა გადასული და აწარმოებს ჰიბრიდულად დოკუმენტმიმოცვლას.

საერთო ჯამში, დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის და ინდიკატორის 5.2.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

დამტკიცებულია ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2020 წლის 29.12 N 01-84 ,,ბათუმის სამედიცინო აკადემიის მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის წესი''.

აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსია პასუხისმგებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებასა და მის სწორად წარმართვაზე. ექსპერტების შემთხვევითი შემოწმების საფუძველზე და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისას დამტკიცდა, რომ დაწესებულებაში რეესტრის წარმოება მიმდინარეობს ინდიკატორით განსაზღვრულ პირობებში. შესაბამისად, **ინდიკატორის 5.2.2.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კოლეჯი მუდმივ მოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კოლეჯის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. იმ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო და ა. შ. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება.

შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესები;
- გაფორმებული ხელშეკრულებახელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული 2024 წლის 01 ნოემბრის ხელშეკრულება #03/22ელექტრონულ სიტემაში(eFlow) ჩართვის შესახებ;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (E-Flow) შემოწმების შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემაში (www.tvet.emis.ge) ასახული ინფორმაცია;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია / შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები;
- ბრძანებების, დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები;
- აკადემიის დირექტორის 2020 წლის 29.12 N 01-84 ,,ბათუმის სამედიცინო აკადემიის მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობის წესი''.
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შემოწმების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 5 მაისის ხელშეკრულება №14 შესყიდვების შესახებ, რომლის მიხედვით შპს ,,პროსერვის.ჯი'' უზრუნველყოფს ვებ გვერდის ჰოსტინგის მომსახურებას 2026 წლის 5 მაისის ჩათვლით. არსებული პრაქტიკით ყოველწლიურად იდება ახალი ხელშეკრულება და კოლეჯი სარგებლობს ჰოსტინგით bmeda.edu.ge დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შემდეგი მისამართით: https://www.bmeda.edu.ge/ka და სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/bmpc.bmpc და https://www.facebook.com/profile.php?id=61565893652679

ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართი, ვებ-გვერდის მისამართი).

ვებ-გვერდზე განთავსებულია აკადემიის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია: მისია, ხედვა ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიში, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები, მარეგულირებელი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები. განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია.

ვებ გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, ელექტრონული ბიბლიოთეკა („Open Biblio") და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ელექტრონული სასწავლო რესურსი;

აკადემიას შემუშავებული აქვს ,,საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი'' რომელიც მიზნად ისახავს აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობის ზრდას, რაც თავის მხრივ აამაღლებს აკადემიის ცნობადობის დონეს საზოგადოებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, **ინდიკატორის 5.2.3.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. აკადემიას მისიაში და სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი და განსახორციელებელი აქტივობები.

დაწესებულებას აქვს უცხოენოვანი ვებგვერდი. ვებ გვერდზე დაწესებულების შესახებ ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე. ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსია მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

შესაბამისად, **ინდიკატორის 5.2.3.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

აკადემია უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებას უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური მედია მენეჯერი. ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია როგორც პროგრამების შესახებ, ასევე აკადემიის მიმდინარე სხვადასხვა პროცესების შესახებ ინფორმაცია, ანონსები და სხვა. საზოგადოებასთან ურთიერთობასა და სოციალური მედიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური მედია მენეჯერი.

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის № 2587 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადეობასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი'', რომლის თანახმად დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმი, კერძოდ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელ Facebook-ზე გამოსაქვეყნებელი მასალის წინასწარ ვიზირება ხდება დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის მიერ. მასალის გადამოწმება მის გამოქვეყნებამდე, უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს ზუსტი, სანდო და შეესაბამებოდეს აკადემიის ოფიციალურ პოზიციას და პერსონალური მონაცემების დაცვას. ეს ამცირებს დეზინფორმაციის გავრცელების რისკს და ხელს უწყობს აკადემიის რეპუტაციის შენარჩუნებას. ვიზირების პროცესი ხელს უწყობს, რომ ყველა გამოქვეყნებული მასალა აკმაყოფილებდეს ერთიან, მაღალ სტანდარტს. ეს ეხება როგორც შინაარსს, ისე ფორმას და დიზაინს. წინასწარი შეთანხმება უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია, რომელიც ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში ქვეყნდება, იყოს მკაფიო, გასაგები და მიზანმიმართული. ეს ხელს უწყობს კომუნიკაციის ეფექტურობას და აუდიტორიასთან უკეთეს ურთიერთობას.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური მედია მენეჯერის უზრუნველყოფს აკადემიის ცხოვრების, ღონისძიებების და მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული პირებისათვის, საინფორმაციო სააგენტოებისა და მედია საშუალებებისათვის, საინფორმაციო ბროშურების, ფეისბუქ პოსტების, განცხადებების მომზადება/კორექტირებას (განთავსებისას დაცული უნდა იყოს ოფიციალური სტილი და შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე). მენეჯერი უზრუნველყოფს აკადემიის სახელით ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების გამოქვეყნებას, პრესრელიზების, საინფორმაციო მასალების მომზადებას, სატელევიზიო სიუჟეტებისა და პრესის მონიტორინგს,სარეკლამო მასალების შექმნას და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება, უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული 2025 წლის კატალოგი, რომელიც მოიცავს დაინტერესებული პირებისთვის ყველა იმ ინფორმაციას, რაც სჭირდება აპლიკანტს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად შერჩევისთვის: პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. შესაბამისად, **ინდიკატორის 5.2.3.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

პროგრამების კატალოგისთვის ვებგვერდზე გამოყოფილია სივრცე/რუბრიკა - ,,პროგრამები''. მოიცავს დაწესებულების შესახებ საკონტაქტო და ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციას, ასევე აკადემიის დაარსებისა და განვითარების ისტორიას. კატალოგში დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებულია დაწესებილების მისია, ხედვა, ღირებულებები. კოლეჯის ვებგვერდზე გეგმიურად ყოველწლიურად ახლდება საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგები ახლდება ახალი პროგრამების დამატებისა და/ან არსებულ პროგრამებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაშიც, რაც ასევე დადასტურდა გასაუბრებისას. პროგრამების კატალოგი ახლდება ყოველწლიურად.

ვებ-გვერდზე წარმოდგენილია 2025 წლის კატალოგი და 2019-2024 წლებში შემუშავებული კატალოგების არქივი. გამომდინარე აქედან, **ინდიკატორის 5.2.3.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აკადემიის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. ხარისხზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს Facebook სოციალური ქსელიდან, დახურული ჯგუფებიდან, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, როგორც ოფიციალური სოციალური ქსელიდან ისე ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან შემოსულ ინფორმაციაზე ხდება სათანადო რეაგირება, ხოლო ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები გამოიყენება საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვისას. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.3.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის ვებ-გვერდი https://www.bmeda.edu.ge/ka
- აკადემიის სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/bmpc.bmpc https://www.facebook.com/profile.php?id=61565893652679
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური მედია მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზის მიხედვით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადასტურდა, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კოლეჯის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსებით და სტუდენტის თვითდაფინანსებით.

პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, მასალა და ნედლეული, საკანცელარიო ხარჯები, კომუნალურები და საიჯარო ქირა, პერსონალის განვითარება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტური ღონისძიებები, პერსონალის განვითარების და სხვა ხარჯები. ყოველწლიური დინამიკით კოლეჯის შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება ხარჯებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან და ფინანსურ მენეჯერთან, რომლებმაც დაადასტურეს ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების საკმარისობა დაგეგმილი აქტივობებისა და სამუშაოების წარმართვისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.3.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

აკადემიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი კომპონენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის საოპერაციო ხარჯები, რაც დადასტურდა დოკუმენტური მტკიცებულებების შესწავლის, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამების განმახორციელებლებთან ინტერვიუებით. ამასთან, აკადემიის ბიუჯეტის როგორც შემოსავალი, ისე ხარჯი მზარდი დინამიკით ხასიათდება, რაც ასევე მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, რომ კოლეჯს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აქვს. **შესაბამისად ინდიკატორის 5.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

აკადემიის ადმინისტრაცია ფინანსურ ანგარიშს აწარმოებს წლიურად. იგი ასაჯაროვებს მას კანონმდებლობის შესაბამისად და ამ ანგარიშებს იყენებს საკუთარი საქმიანობის ფინანსური მდგრადობის ანალიზისა და შეფასებისთვის. გარდა კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშებისა, დაწესებულება დაინტერესებული მხარეებისთვის საკუთარ ვებგვერდზეც ასაჯაროვებს დაფინანსების დინამიკის მაჩვენებლებს. გამომდინარე აქედან, **ინდიკატორის 5.3.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ვიზიტის ფარგლებში აკადემიამ წარმოადგინა წინა წლების ფინანსური ანგარიშები. დირექტორთან ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულება ანგარიშების შეფასების შედეგებს ითვალისწინებს სამომავლო გეგმის შემუშავებისას. გამომდინარე აქედან, განხილული დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებიდან დგინდება, რომ **ინდიკატორის 5.3.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- ვებ გვერდზე განთავსებული წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- აკადემიის დაფინანსების დინამიკა
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება N01-27, 19თებერვალი, 2019 წელი ცვლილებები: დირექტორის 2019 წლის 19.04. N01-44 ბრძანებით დირექტორის 2020 წლის 19.02. N01- 09 ბრძანებით დირექტორის 2020 წლის 23.06. N01- 29 ბრძანებით დირექტორის 2021 წლის 12.04. No 1605 ბრძანებით დირექტორის 2021 წლის 23.04. No 2035 ბრძანებით დირექტორის 2021 წლის 25.05. No 2463 ბრძანებით დირექტორის 2021 წლის 20.12. No 8057 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	დირექტორის 2021 წლის 30.12. No 8314 ბრძანებით დირექტორის 2023 წლის 03.05. No 4444 ბრძანებით დირექტორის 2025 წლის 11.03 N3473 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი. ტბეთის ქ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ბათუმის სამედიინო აკადემიას შემუშავებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია“ (ბრძანება #7645, 03.12.2021, შეტანილია ცვლილება 2022 წლის 03.02. ბრძანება #707), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის მენჯერს წარუდგენს შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შემუშავებილ პროგრამას წარუდგენს დასკვნის სახით მრჩეველთა საბჭოს, მრჩეველთა საბჭო განიხილავს წარმოდგენილ პროექტს და დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ შემუშავებული და მრჩეველთა საბჭოს მიერ განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი.
აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ფარმაცია (სააფთიაქო)-ს, უკვე 33 წელია ახორციელებს. ქალაქი დღითი დღე იზრდება და შესაბამისდ მასში აფთიაქების რაოდენობაც. არსებული ინფორმაციით ბათუმში არის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8 აფთიაქი---ჯიპისი GPS;
30 აფთიაქი-ავერსი
25 აფთიაქი---- PSP
20 აფთიაქი-----ფარმადეპო (FARMADEPO)
6 აფთიაქი----- იმპექსი(IMPEX)
8 აფთიაქი------გლუკოზა.
12 აფთიაქი-----ჰეკატე.
6 აფთიაქი --------ნეოფარმი.
6 აფთიაქი ------მედეა.

20 აფთიაქი სხვადასხვა სახელწოდებით 1, 2 და 3 ფილიალით, სერთო ჯამში რომელთა რაოდენობა დაახლოებით 200-ზე მეტია, ასევე კლინიკის აფთიაქები და რეგიონის მაშტაბით კიდევ ბევრი (ქობულეთი, გონიო, ფოთი, ურეკი, და ა. შ.) შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ აჭარაში, კერძოდ ქ. ბათუმში ამ მიმართულების პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობაა და მხოლოდ 3 პსდ ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია.

საქართველოში ჯანდაცვის მიმართულება პრიორიტეტულია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებად. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ ბაზარზე, არსებული ფარმაცევტული კომპანიების „შპს „ავერსი ფარმას“, “ჯი პი სის“, „ფარმადეპოს“, „პსპ-ს“ და „იმპექსის““-ის ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ. კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმდება შპს „პსპ აფთიაქი“-ს, შპს „ავერსი ფარმას“, შპს „გეფასა“ და შპს „ჯი პი სი“-ს სააფთიაქო ქსელებში, თუმცა როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბათუმში ამ ქსელური აფთიაქების გარდა მრავლადაა სხვა ფარმაცევტული დაწესებულებებიც.

2024 წელს ბათუმის სამედიცინო აკადემიამ აშს საელჩოს ტექნიკური და პროფესიული განათლების, სწავლების (TVET) მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში მოიპოვა გრანტი ,,პროფესიული სტუდენტების დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა აჭარის რეგიონში პროფესიული კონსულტაციისა და კარიერული განვითარების სისტემის დანერგვით''. ასევე უნდა აღინიშნოს რომ ექსპერტთა ვიზიტის დრო დაემთხვა დამსაქმებელთა ფორუმს, რომელიც ტარდებოდა ფარმაცევტული ფირმის „იმპექსის“ მიერ და ერთ-ერთი დამსაქმებელი, მენეჯერი სწორედ დაწესებულების კურსდამთავრებულს წარმოადგენდა.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

აკადემიის მისია გამომდინარეობს „პროფესიული განათლების შესახებ“საქართველოს კანონიდან და შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. *ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისიაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კვალიფიციური ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მომზადება, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.*

ბათუმის სამედიცინო აკადემია უზრუნველყოფს ინოვაციური სწავლების დანერგვას და პროფესიული განათლების პოლიტიკაში ეფექტურ ჩართულობას.

მისიაში ნათქვამია, რომ კოლეჯი ამზადებს *ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებს.* პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო) მოიცავს იმ პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებს, რომლებსაც კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს სწავლებას რეალურ სამუშაო გარემოში-აფთიაქში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია 1992 წლიდან წარმატებით ახორციელებს ფარმაციის მიმართულების სპეციალისტების მომზადებას და შრომის ბაზრისთვის მიწოდებას. ასევე ხელს უწყობს ნებისმიერი სოციალური სტატუსის ინდივიდისთვის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას, ზრუნავს მათ დასაქმებზე, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში.
პროგრამა უზრუნველყოფს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული კადრების მომზადებას და აკმაყოფილებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება "ფარმაცია(სააფთიაქო)" პროგრამის განხორციელების შესახებ დასაბუთებულია და ემყარება მისიას.
კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ერთ-ერთი მიზანია ,, სტრატეგიული მიზანი N 4. ახალი საგანამანთლებლო/პროფესიული პროგრამების დანერგვა და ფინანსური რესუსების დივერსიფიკაცია'', ასევე, სტრატეგიული მიზანი N 2. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან''. საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წელს აკადემიამ შეიძინა ლეპტოპეები, ასევე ციფრული დაფები და მომავალი წლიდან აპირებს ISO 9001 ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, ამდენად აკადემიისთვის განვითარება ერთ-ერთი საკვანძო პრიორიტეტია.
საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ამასთან კოლეჯს აქვს ამ მიმართულების პროგრამის მრავალწლიანი გამოცდილება. განხორციელების მიზანშეწონილობა, ასევე განპირობებულია ერთი მხრივ პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ ჯანდაცვის მიმართულების პრიორიტეტულობით, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებას. ასევე ეროვნულ ბაზარზე, არსებული ფარმაცევტული კომპანიების ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ.
შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია: დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (ბრძანება #2587, 19.02.2025; მუხლი 2). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე„ ფარმაცია (სააფთიაქო)" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09110-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ჩარიცხვის პროცედურების ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
2.1.1.2. ინდიკატორი დაკმყოფილებულია: საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის**„ფარმაცია(სააფთიაქო)"**სწავლების მიზნებისთვის გააჩნია ერთი A (აუდიტორია 607); სამი A/C(აუდიტორია614, 618და 620) და ერთი B (აუდიტორია 602) ყველა გარემო პროგრამის მოთხოვნების მიხედვითაა აღჭურვილი.

„ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 80

1.N607- A სასწავლო გარემო

2.N 602 - B სასწავლო გარემო

3.N 620 - A/C სასწავლო გარემო-იმიტირებული აფთიაქი;

4.N 618-აუდიტორია-ფარმაკო-ქიმიურ -ტექნოლოგიური ლაბორატორია A /C სასწავლო გარემო.

5. N 614- აუდიტორია -საექთნოო განათლების A /C სასწავლო გარემო-მოდულისთვის ..პირველადი გადაუდებელი დახმარება".

აკადემია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ, აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (ბრძ. 01-15 11.02.2019 წ. ცვლილება ბრძ. 01-40 05.04.2019 წ.) „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", სადაც გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, მოდულების განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა. შემუშავებულია აუდიტორიათა აღწერილობა ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები, რაც გაწერილია პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი, პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გეგმის სპეციფიკა, პროგრამის მოთხოვნადობა და სხვა.

ასევე 40-40 პროფესიული სტუდენტის მიღების შესახებ „პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების განხორციელების შესახებ" (19 თებერვალი 2025 წ.) გაფორმებულია ხელშეკრულება N 03-05 „ბაკურიძე და კომპანიასთან", შპს ,,ჰეკატე"-სთან და შპს „გეფასთან".

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმყოფილებულია: პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით ახლავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. რომლის რელევანტურობა დასტურდება ექსპერტთა მიერ დოკუმენტების შეფასებით, განმახორციელებელთა და სტუდენტთა ინტერვიუების საფუძველზე. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკადემიის ბაზაზე გათვალისწინებულია :

1.სასწავლო გარემოს მოდელი -A გარემო-(აუდიტორია N607-Iსაკონფერენციო დარბაზი)-განკუთვნილია 90 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია :18 ცალი 5 ადგილიანი სამუშაო მაგიდები, 90 სკამი, 1ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო (აუდიტორია 602) რომელშიც განთავსებულია20 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.(სულ21 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, და სხვა.

B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი(მოდული ხორციელდება 8 კვირიდან 16 კვირის ჩათვლით სასწავლო გეგმის მიხედვით) კომპიუტერული აუდიტორიის დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს კვირაში.

3.სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - -(აუდიტორია 618)- აუდიტორია-ფარმაკო-ქიმიური ლაბორატორია განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა (20ც მაგიდა/სკამი), და 20 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის(6 ც ქიმიური მაგიდა სამადგილიანი+1 ორადგილიანი მაგიდა)20 ლაბორატორიული სკამი) , რომელიცაღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადით ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. ასევე აღსანიშნავია აუდიტორიებში ახლადშეძენილი ჭკვიანი დაფები"" და შპს ავერსის მიერ საჩუქრად გადაცემული სააფთიაქო ინვენტარი.

4. სასწავლო გარემოს მოდელი A/C გარემო - -(აუდიტორია 620)-განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის და განთავსებულია:მაგიდები და სკამები 20 ცალი სტუდენტისა და 1ცალი მასწავლებლისთვის,დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით, სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, იმიტირებული აფთიაქი ღია და დახურული კარადებით,დახლით, დამცავი მინით, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით: ყველგან განთავსებულია ცეცხლმაქრები.

5. სასწავლო გარემოს მოდელი A /C გარემო-საექთნოო განათლების - -(აუდიტორია 614)- მოდულისთვის ..პირველადი გადაუდებელი დახმარება"- განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა (30ც მაგიდა/სკამი), და 30 პროფესიული სტუდენტისათვის, რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით:

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს„BSA" გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან:

1.შპს „სპს ,,ბაკურიძე და კომპანია" ს/კ: 245424303 - 40 პროფესიულ სტუდენტზე;
2. შპს „შპს ,,ჰეკატე" ს/კ: 245436096 – 40 პროფესიულ სტუდენტზე;
3. შპს,,გეფა"-ს/კ: 211386695 40 პროფესიულ სტუდენტზე ;

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს შედეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება მოვალეობები, პრაქტიკანტ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (40), მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების წესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმება, შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახურონ თითოეული კოლეჯის 40 პროფესიული სტუდენტს.

ხელშეკრულებაში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სწვლებასა და შეფასებასმთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური სშუალებების ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი 8 მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას:

1. "სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში";
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება";
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება";
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში";
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა";
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა";
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა";
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა"

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 80 სტუდენტზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თითო მიღებაზე დაწესებულება იღებს 40 პროფესიულ სტუდენტს .შესაბამისად, სწავლების მეორე წელს განხორციელდება 40 პროფესიული სტუდენტის მიღება და ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა იქნება საერთო კვოტის - 80 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ყოველწლიურად 40 სტუდენტის მიღებას და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით.თვითშეფასების დანართად წარმოდგენილია შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია(სააფთიაქო) " მოდულების განხორციელების გარემო.

პროგრამა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.4. ინდიკატორი დაკმყოფილებულია: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს- „მზა სამკურნალწამლო ფორმები“ 0911028“ (მოცულობა 3 კრედიტი), რომელიც თეორიულია და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს. აღნიშნული მოდული მოცემულია შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტში. **არჩევითი მოდული სრულ ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, შესაბამისად, 2.1.1.5. ინდიკატორი დაკმყოფილებულია**

2.1.1.6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2019 წლის 19 თებერვლის #01-27 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბრძანება №3473, 11.03.2025). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (04.02.2025 ბრძანება #1657) მუხლი 7-ის შესაბამისად, რაც ადასტურებს რომ **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ და 2.1.1.6. ინდიკატორი დაკმყოფილებულია.**

2.1.1.7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ფარმაცია (სააფთიაქო), საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული სპეციალიზაციის სახელწოდების იდენტურია და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა არის ფარმაცია (სააფთიაქო), Pharmacy.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი. 2.1.1.7 ინდიკატორი დაკმყოფილებულია.

2.1.1.8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ფარმაცია(სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტი. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტსაც. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 123 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 153 კრედიტს. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე (84 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 26 სასწავლო თვე (104 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy, მეხუთე დონე, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები (მათ შორის ლოგიკურიც) და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის 10 დღიანი ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. 2.1.1.8 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- აკადემიის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია“ (ბრძანება #7645, 03.12.2021, ცვლილების ბრძანება #707, 03.02.2022)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება #2587, 19.02.2025);
- აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულია წ.) „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძანება 01-15, 11.02.2019, ცვლილების ბრძანება 01-40 05.04.2019)
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (ბრძანება #1657 04.02.2025)
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება #01-27 19.02.2019, ცვლილებისბრძანება №3473, 11.03.2025
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება #1657 04.02.2025)
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

i.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.პროგრამით„ფარმაცია (სააფთიაქო)“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

აკადემიის “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბეთის N4, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:
გარემო აფთიაქის მოდელით თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის 20+1 სამუშაო ადგილით. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). სააფთიაქო აღჭურვილობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **B გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია #602** პროფესიული სტუდენტისთვის 20+1 სამუშაო ადგილით სკამით და მაგიდით.. აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (საფთიაქო), რომელიც საჭიროებს პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტში. B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

- **A/C გარემო** - ***ქიმიურ-ბიოლოგიური - ტექნოლოგიური ლაბორატორია***- **618** განკუთვნილია **20** პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სველი წერტილი, სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, რეაქტივები, მაშრობი კარადა, მაცივარი, რეფრაქტომეტრი, მიკროსკოპები, შტატივები,სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით, წყლის აბაზანა, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი ზრდის კოეფიციენტების ცხრილები,მილესილსაცობიანი კოლბები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10, 50, 100, 500 მლ), მინის კოლბები, შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, როდინები, არეომეტრები, ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, ლუპა და სხვა. კედლებზე გაკრულია ქიმიურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, მოთავსებულია ცეცხლმაქრები

სასწავლო გარემოს მოდელი A/C სააფთიაქო ბიოლოგიური გარემო -(აუდიტორია 620)-განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის და განთავსებულია:მაგიდები და სკამები 20 ცალი სტუდენტისა და 1ცალი მასწავლებლისთვის,დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით ,სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, იმიტირებული აფთიაქი ღია და დახურული კარადებით,დახლით, დამცავი მინით,რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით: ყველგან გახლავთ ცეცხლმაქრები .

სასწავლო გარემოს მოდელი A /C გარემო-საექთნო განათლების - -(აუდიტორია 614)- მოდულისთვის ..პირველადი გადაუდებელი დახმარება“- .განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული მეცადინეობებისა (30ც მაგიდა/სკამი), და 30 პროფესიული სტუდენტისათვის ,რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით:

სასწავლო გარემოს მოდელი -A გარემო-(აუდიტორია N607-საკონფერენციო დარბაზი)-განკუთვნილია 90 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია :18 ცალი 5 ადგილიანი სამუშაო მაგიდები, 90 სკამი, 1ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ჰეკატესთან“; შპს“ ბაკურიძე და კომპანიასთან“ და „სს გეფასთან“, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ <u>პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 80 პროფესიულ სტუდენტს.</u> საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტკის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებაში, შპს „ბაკურიძე და კომპანია“-ში, „გეფა“-ში, „ჰეკატეში“ რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველწლიურად თითოეული 40 სტუდენტის მიღებასა და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას.
ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებს-აფთიაქების მენეჯერებს.
პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურსს, როგორც კოლეჯში ასევე რეალურ სამუშაო ადგილებზე-აფთიაქებში პრაქტიკული სწავლების დროს.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა მიიღოს ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამის ფარგლებში 80 პროფესიული სტუდენტი.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 32 პირი, მათ შორის 8 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 24.
კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი თავისი საქმის პროფესიონალია, კარგად იცნობს მოდულს, ზოგი მათგანი ჩართული იყო აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში და შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შექმნის სამუშაოებშიც, რაც დასტურდება მათი დოკუმენტაციით და გამოკითხვის შედეგებით. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

ბათუმის სამედიცინო აკადემიას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება #7645, 03.12.2021, შეტანილია ცვლილება 2022 წლის 03.02. ბრძანება #707), რომლის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. პროგრამის შემუშავებისა და არგუმენტირების/კვლევების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის მენჯერს წარუდგენს შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შემუშავებილ პროგრამას წარუდგენს დასკვნის სახით მრჩეველთა საბჭოს, მრჩეველთა საბჭო განიხილავს წარმოდგენილ პროექტს და დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ შემუშავებული და მრჩეველთა საბჭოს მიერ განხილულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება/Nursing შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით, რასაც მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. განხორციელების მიზანშეწონილობა ერთი მხრივ განპირობებულია პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#134 16.07.2019 „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია“), რომლის თანახმად ექთანთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებას. აკადემიის მისია გამომდინარეობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისიაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კვალიფიციური ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მომზადება, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.

ბათუმის სამედიცინო აკადემია უზრუნველყოფს ინოვაციური სწავლების დანერგვას და პროფესიული განათლების პოლიტიკაში ეფექტურ ჩართულობას.

მისიაში ნათქვამია, რომ კოლეჯი ამზადებს ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებს. პროგრამა საექთნო განათლება მოიცავს იმ პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებს, რომლებსაც კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს სწავლებას რეალურ სამუშაო გარემოში-კლინიკებში.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ერთ-ერთი მიზანია ,, სტრატეგიული მიზანი N 4. ახალი საგანამანთლებლო/პროფესიული პროგრამების დანერგვა და ფინანსური რესუსების დივერსიფიკაცია'', ასევე, სტრატეგიული მიზანი N 2. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან''. საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წელს აკადემიამ შეიძინა ლეპტოპეები, ასევე ციფრული დაფები და მომავალი წლიდან აპირებს ISO 9001 ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, ამდენად აკადემიისთვის განვითარება ერთ-ერთი საკვანძო პრიორიტეტია.

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ამასთან კოლეჯს აქვს ამ მიმართულების პროგრამის მრავალწლიანი გამოცდილება. განხორციელების მიზანშეწონილობა, ასევე განპირობებულია ერთი მხრივ პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ ჯანდაცვის მიმართულების პრიორიტეტულობით, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებას. ასევე ეროვნულ ბაზარზე, არსებული კომპანიების ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ.

შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (ბრძანება #2587, 19.02.2025; მუხლი 2). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება/Nursing დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება აკადემიის დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება/Nursing პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.2. ინდიკატორი დაკმყოფილებულია: საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება/Nursing დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

აკადემია საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით (დირექტორის 2019 წლის 11.02 ბრძანება #01-15, შეტანილია ცვლილება 2019 წლის 05.04. ბრძანება #01-40), რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C) გარემოს და სამუშაო ადგილებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

კოლეჯს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დათვლილი აქვს წლების მიხედვით და ჯამში 3 წელზე შეადგენს 120 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 40 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელურ რეჟიმში, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევს 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, ანუ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს 80 (40+40) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მეორე წლის მეორე ნახევრიდან სასწავლო პროცესი გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ შემთხვევაშიც, კოლეჯის ბაზაზე პარალელური სწავლება, ასევე უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს (80 პროფესიული სტუდენტი). პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პარტნიორ დაწესებულებებში კლინიკური სწავლება უზრუნველყოფილია პრაქტიკის ინსტრუქტორებით, თანაფარდობით - 1/7.

საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება/Nursing კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ხუთ პარტნიორ კლინიკასთან:

1. მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი „მედცენტრი“ (20.02.2025) – 40 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
2. მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი რეფერალური ჰოსპიტალი (05.03.2024) – 40 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ,,ვიანი“ - ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი (28.02.2025) – 40 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
4. ბათუმის სამედიცინო ცენტრი (20.02.2025) – 40 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე;
5. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო (05.03.2025) – 40 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე.

ვიზიტის დროს შეირჩა პარტნიორი, კლინიკა მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი ,,მედცენტრი“, ,,ვიანი“ - ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი, ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო რომლის წარმომადგენლებთანაც გასაუბრება განხორციელდა, კლინიკის წარმომადგენლებმა მზაობა გამოხატეს, რომ მიიღებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმყოფილებულია: პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ასევე შემოწმებული იქნა პარტნიორი ორგანიზაციების სახელმწიფო ლიცენზიების სფერო, რომლითაც დასტურდება, რომ შერჩეული კლინიკები ფარავენ საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულების სწავლის შედეგების შინაარსს.
საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.4. ინდიკატორი დაკმყოფილებულია:საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება/Nursing არ მოიცავს არჩევით მოდულებს. **2.1.1.5. ინდიკატორი დაკმყოფილებულია**

2.1.1.6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება/Nursing დამტკიცებულია დირექტორის დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2019 წლის 19 თებერვლის #01-27 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორცილებულია ბრძანება №3473, 11.03.2025). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (04.02.2025 ბრძანება #1657) მუხლი 7-ის შესაბამისად, რაც ადასტურებს რომ **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ და 2.1.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება საექთნო განათლება/Nursing ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი. 2.1.1.7 ინდიკატორი დაკმყოფილებულია

2.1.1.8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება/Nursing შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი (09109-პ). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პიროებები (შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიღება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება), პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ (90 კრედიტი), ასევე კლინიკური (90 კრედიტი) სწავლების კომპონენტსაც. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 28,75 სასწავლო თვე, 115 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 210 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 44,75 სასწავლო თვე, 179 სასწავლო კვირა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები (მათ შორის ლოგიკურიც) და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის 10 დღიანი ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. 2.1.1.8 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- აკადემიის სტრატეგიული გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია“ (ბრძანება #7645, 03.12.2021, ცვლილების ბრძანება #707, 03.02.2022)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება #2587, 19.02.2025);
- აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულია წ.) „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძანება 01-15, 11.02.2019, ცვლილების ბრძანება 01-40 05.04.2019)
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (ბრძანება #1657 04.02.2025)
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება #01-27 19.02.2019, ცვლილებისბრძანება №3473, 11.03.2025
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება #1657 04.02.2025)

დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.პროგრამით „საექთნო განათლება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ბათუმის სამედიცინო აკადემის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება/Nursing თეორიულ კომპონენტს და პრაქტიკულ სწავლებას (მოდულები: ავადმყოფის მოვლა, შინმოვლა) ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

- A გარემო - აუდიტორია #613, განკუთვნილია 90 პროფესიული სტუდენტისთვის;
- A/C გარემო - აუდიტორია #614, განკუთვნილია 30 პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორია აღჭურვილია ფუნქციური საწოლით, პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული მანეკენებით, თემატური პლაკატებით, ნიმუშებით და სხვა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით.

სიმულაციურ გარემოში ასევე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) მოდული პირველადი გადაუდებელი დახმარება. სასწავლო ცხრილების, მოდულების საკონტაქტო საათების ანალიზით სიმულაციური გარემო გამტარუნარიანია ორივე პროგრამისთვის არსებული კვოტის ფარგლებში.

- B გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია #602 პროფესიული სტუდენტისთვის 22 სამუშაო ადგილით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა. B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

საექთნო განათლება/Nursing პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი ,,მედცენტრი“ (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 20.02.2025), მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი რეფერალური ჰოსპიტალი (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 05.03.2024), ,,ვიანი“ - ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი (ხელშეკრულების გაფორმების ტარიღია - 28.02.2025), ბათუმის სამედიცინო ცენტრი (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 20.02.2025), ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო (ხელშეკრულების გაფორმების თარიღია - 05.03.2025).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორი დაწესებულებები ბაზარზე ცნობილი ოპერატორები არიან, აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2022 - 2023 და 2023 - 2024 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალა.
ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.
პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.

<u>დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება/Nursing მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 120 პროფესიულ სტუდენტს.</u> თითოეულ წელს მიიღებს 40 პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო გეგმის მიხედვით პარალელური სწავლებისას, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი შეუფერხებლად განახორციელებს 80 (40+40) პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზეც, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად არის მაქსიმუმ 80 პროფესიული სტუდენტი. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პრაქტიკის ინსტრუქტორები თანაფარდობით - 1/7.

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც ადასტურებენ თანამშრომლობის მზაობას.
პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურსს, როგორც კოლეჯში ასევე რეალურ სამუშაო ადგილებზე-კლინიკებში პრაქტიკული სწავლების დროს.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა მიიღოს საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში 120 პროფესიული სტუდენტი.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 84 პირი, მათ შორის 7 ზოგადი მოდულების (2 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 2 - კომუნიკაცია, 1- ქართული ენა) განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 49, აქედან 28 - პირი პრაქტიკის ინსტრუქტორი.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას.

პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა საექთნო განათლება/Nursing პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და ა(ა)იპ უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის კუთხით.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აკადემია მუდმივად მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით. ასევე აკადემია უზრუნველყოფს მასწავლებლების ჩართულობას სხვა დაწესებულებების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას და ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მათი პირადი საქმეებით, ისე გასაუბრებით. დოკუმენტაციით დასტურდება პირების შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება/Nursing პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით არის ექიმი, დარგში მუშაობის (9 წლიანი) გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლებლის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებაც (2016 წლიდან-დღემდე).

-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება/Nursing პროგრამის თანახელმძღვანელი კვალიფიკაციით არის ექთანი, დარგში მუშაობის (1994 წლიდან - დღემდე) გამოცდილებით და საექთნო საქმის დარგობრივი კომპეტენციების უნარების ფლობით. პროგრამის თანახელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლებლის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებაც (2019 წლიდან-დღემდე).

პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, პერიოდულად ესწრებიან მეცადინეობებზე, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართული არიან შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავენ პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

2.2.1.5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა„Open Biblio”, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ასევე, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები. ამდენად, პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით.

საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი ახდენენ განმახორციელებელი პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 20). განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.

წესის თანახმად სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელი, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია დამატებითი ადაპტირებული ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება, თუმცა პრაქტიკაში კოლეჯის სტუდენტებს ჯერ არ დაჭირვებია.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საჭირეობის შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება და თვით დაფინანსება(1000ლ). პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, მასალა და ნედლეული, საკანცელარიო ხარჯები, კომუნალურები და საიჯარო ქირა, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები, პერსონალის განვითარების და სხვა ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 15 პროფესიული სტუდენტი (196185₾). პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.7 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,, საექთნო განათლება'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #1658, 04.02.2025). ასევე დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება #7645, 03.12.2021, შეტანილია ცვლილება 2022 წლის 03.02. ბრძანება #707), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ეს აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება. კითხვარების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" და ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის'' შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურის უფროსი. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. დაწესებულების მიერ, უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლის ვადები.

2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება #1658, 04.02.2025);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება #7645, 03.12.2021, შეტანილია ცვლილება 2022 წლის 03.02. ბრძანება #707);
- კვლევის ანგარიშები (პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების კვლევების შესახებ);
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საექთნო განათლება/Nursing აკადემიას მოთხოვნების თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 44,75 სასწავლო თვე, 179 სასწავლო კვირა (210 კრედიტი), ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 28,75 სასწავლო თვე, 115 სასწავლო კვირა (180 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის პერიოდი.

ექსპერტების მიერ შემოწმებული და დადასტურებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯში მოქმედი სასწავლო ცხრილების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯში არსებული თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი იძლევა საშუალებას ყველა პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში შემუშავებულია მექანიზმები, რომლის მიხედვითაც შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება. ის ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს აქვს ისგ-ს შემუშავების და მისი განხორციელების პრაქტიკა. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ისგ-ის შემუშავების დოკუმენტაცია,

აკადემიის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (ბრძანება #2587, 19.02.2025) დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინების ნაწილი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები.
სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აკადემიის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

აკადემიის მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტებმა აღნიშნეს,რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.
2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კბილის სატექნიკო საქმე'' გათვალისწინებულია - 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან 9 ზოგადი, ხოლო 15 დარგის სპეციალისტები. პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ამისათვის თითოეულ მოდულის განსახორციელებლად არის ორი ან ორზე მეტი განმახორციელებელი.
კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საათობრივი დატვირთვები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი თავისი საქმის პროფესიონალია, კარგად იცნობს მოდულს, ზოგი მათგანი ჩართული იყო აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში და შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შექმნის სამუშაოებშიც, რაც დასტურდება მათი დოკუმენტაციით და გამოკითხვის შედეგებით. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და ა(ა)იპ უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის კუთხით.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აკადემია მუდმივად მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით. ასევე აკადემია უზრუნველყოფს მასწავლებლების ჩართულობას სხვა დაწესებულებების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში.

წარმოდგენილი პირადი საქმეებითა და ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას და ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კბილის სატექნიკო საქმე”პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია როგორც დარგის მიმართულებით, ასევე, პროფესიულ განათლების მიმართულებით მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება. დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისიტრირების პროცესებში, ასევე ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე..

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

2.2.1.5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა„Open Biblio”, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ასევე, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები. ამდენად, პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით.

საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი ახდენენ განმახორციელებელი პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 20). განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.

წესის თანახმად სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელი, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია დამატებითი ადაპტირებული ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება, თუმცა პრაქტიკაში კოლეჯის სტუდენტებს ჯერ არ დაჭირვებია.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საჭირეობის შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება და თვით დაფინანსება(2000ლ). პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, მასალა და ნედლეული, საკანცელარიო ხარჯები, კომუნალურები და საიჯარო ქირა, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები, პერსონალის განვითარების და სხვა ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი (133380₾). პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.7 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კბილის სატექნიკო საქმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით (ბრძანება #1658, 04.02.2025). ასევე დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება #7645, 03.12.2021, შეტანილია ცვლილება 2022 წლის 03.02. ბრძანება #707), სადაც მითითებულია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინსტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ეს აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება. კითხვარების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების - "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" და ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის'' შესაბამისად. კოლეჯი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორცილებეული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანებები. ცვლილება განხორციელბულია შიდა პროცედურის დაცვით. დაწესებულების მიერ, უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილებისას, შესაბამისობაში მოსვლის ვადები.

2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძანება #1658, 04.02.2025);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება #7645, 03.12.2021, შეტანილია ცვლილება 2022 წლის 03.02. ბრძანება #707);
- კვლევის ანგარიშები (პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების კვლევების შესახებ);
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კბილის სატექნიკო საქმე შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 67 სასწავლო კვირა, ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 93 სასწავლო კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები, წინაპირობებისათვის დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.
შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტებმა აღნიშნეს,რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.
საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, გონებრივი იერიში, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, როლური თამაში, პრაქტიკული დავალება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი კომპანიები, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება, უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება).

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას.

სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

2.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის ამსახველი მეთოდოლოგია და ამ გარემოებიდან გამომდინარე შემუშავებული ისგ-ს ნიმუში. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებებზე პსდ-ს ადმინისტრაციის ორიენტირება.

სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მათი საჭიროებების შესაბამისად მიმდინარეობს.

სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის თანახმად იმართება.

დოკუმენტაციით და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

2.4.1.5. კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კბილის სატექნიკო ლაბორატორიებთან:

1. შპს ტექნილგრუპი ს/კ: 445509101 – 10 პროფესიულ სტუდენტზე
2. შპს ევროდენტი ს/კ: 445384717 – 10 პროფესიულ სტუდენტზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს „ლაბორადენტი ს/კ: 245627638 10 პროფესიულ სტუდენტზე

ხელშეკრულებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების (10 პროფესიული მოდული) და სწავლის შედეგების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (წელიწადში 30 პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ -ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის..ბაზაზე.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით, პროფესიული სტუდენტების ინტერვიუირებით, კოლეჯის ვებგვერდზე პარტნიორი ორგანიზაციების კოლეჯში ვიზიტების, სტუდენტებთან შეხვედრების ამსახველი განთავსებული ფოტომასალით.

ინდიკატორი 2.4.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის პირებისა და სამსახურების არსებობა. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 4 თებერვლის №1657 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ასევე, კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი/კაბინეტი და კოლეჯს ჰყავს მედდა.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, რამდენად ჰქონდათ მათ ინფორმაცია კოლეჯში უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით. მათ აღნიშნეს, რომ ერთ-ერთი პირველი შეხვედრა კოლეჯის ადმინისტრაციასა და განმახორციელებლ პერსონალთან კოლეჯში უსაფრთხო სწავლების და ქცევის წესებს დაეთმო. სასწავლო ქიმიურ-ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში პრაქტიკული სამუშაოს დაწყების წინ, კი შესაბამისი მოდულის პროფესიული მასწავლებელი და ლაბორანტი ყოველთვის ახსენებენ ლაბორატორიაში ქცევის წესებს.

AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები), გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები,უბედური შემთხვევების დროს მოქმედების წესები.

განთავსებულია გამწოვი კარადა. სისტემატიურად ხდება უსაფრთხოების საშუალებების/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენა. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად აკადემიაში ხორციელდება ნარჩენების შეგროვება და გატანა. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პოლიტიკა“ დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის №14231 ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა'' და ,,სეიფთ ქორფი''-სთან გაფორმებულია ხელშეკრულება, ჰყავთ შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. გეგმის მიხედვით ტარდება ტრენინგები. რომელიც აღირიცხება ,,შრომის უსაფრთხოების ჟურნალში“ და პერიოდულად ხდება რისკების შეფასება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულია პრევენციული ღონისძებები, დაწესებულებაში AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები). გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, უბედური შემთხვევის დროს მოქმედების წესები. პროგრამის დარგობრივ კაბინეტებში განთავსებულია გამწოვი კარადა. დაწესებულება სისტემატურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების შეგროვებას, ფარმაცევტულ /ქიმიურ ლაბორატორიაში ნარჩენების მართვის ინსტრუქცია დამტკიცებულია ცვლილებით დირექტორის 2025 წლის 14 მაისის ბრძანებით და ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ეკომედთან“, ასევე შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გათვალისწინებულია მუხლი 31.,, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის წესი'' და მუხლი 32. ,,სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი'', რომლის მიხედვითაც სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ პროცესში ნარჩენების მართვა ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით. სხვა შემთხვევაში ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოსა და გარშემო მყოფ პირებს.

ინდიკატორი 2.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კბილის სატექნიკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, უბედური შემთხვევის დროს მოქმედების წესები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება #2587, 19.02.2025);
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება ((ბრძანება #1657, 04.02.2025);
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- დირექტორის 2024 წლის 1ოქტომბრის №14231 ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა''
- დირექტორის 2022 წლის 11ოქტომბრის №9398 ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების წესები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის''
- ხელშეკრულება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ) გაფორმებული შპს ეკომედთან;
- მიღება-ჩაბარების აქტები (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ) გაფორმებული შპს ეკომედთან;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

აკადემიის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძანება #2587, 19.02.2025) არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შუალედური შეფასებისა და და საკვალიფიკაციო გამოცდის, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ 2-ჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება ორი კვირით.

შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში, რასაც შემდეგ გადასცემს ადმინისტრაციას (სასწავლო პროცესის კოორდინატორს).

აკადემიის შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

კოლეჯი სისტემატურად ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, ჩატარებული ვერიფიკაციის მასალები იმ მიზნით თუ რამდენად არის კოლეჯის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები დარგის ექსპერტის შეფასებით იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია.

ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ ცოდნას ამ პროცესების შესახებ და აქტიურად არიან ჩაბმულები როგორც ვალიდაციის ასევე შეფასების ინსტრუმენტის შედგენაში.

2.4.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება აკადემიის დირექტორის 2025 წლის 4 თებერვლის №1658 ბრძანებით (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მუხლი 14) დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად. ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა, როგორიცაა: ,,დამწყები" პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; მოდულის ფარგლებში, როცა ყველა პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება და სხვა.

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.
ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე იწერება დასკვნა. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, სადაც აისახება ყველა ის განსახოციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერიფიკაცია ჩატარებულია 2024-2025 სასწავლო წელს, დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.
ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს ენახათ განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ვერიფიკაცის მასალები. მაგალითად 2024-25 წლებში ჩატარებული ვერიფიკაციის ანალიზის. ვერიფიკაცია შიდა რეგულაციის თანახმად განხორციელდა სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ჯგუფის ხელმძღვანელი, ვერიფიკატორი და დარგის სპეციალისტი. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები.
ასევე, ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზიტის დროს გასაუბრებოდნენ ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს, რომლებმაც დაადასტურეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

2.4.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

აკადემიის დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი - ბრძანება #2587, 19.02.2025). შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური აწარმოებს უწყისების სარეგისტრაციო ჟურნალს.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ 2.4.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯი წარმატებით იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის. შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალ მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას.

შუალედური გამოცდების შემდეგ, სტუდენტებს მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს და უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭირო მიმართულებით.

პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას. შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითრებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

კოლეჯში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის რეგულირდება „შეფასების სისტემის მექანიზმებისა“ და „სასწავლო პროცესის მართვის წესის“ საშუალებით. დაწესებულება ზრუნავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით განავითაროს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციები.

2.4.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის დირექტორის 2025წლის 19 თებერვლის №2587 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 21. სწავლების ფორმა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება, მუხლი 22 . პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი, მუხლი 23. კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება.
- აკადემიის დირექტორის 2025წლის 4 თებერვლის №1657 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები''. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 4 თებერვლის №1657 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი''.
- შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტები და შედეგები;
- სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

05.08.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: